მუშანო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი
30 ნოემბერი
1940 წ.
№ 278 (5979)
ფასი 10 კაპ.

სკკ ბ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გადაჭრით გავაუმჯობესოთ კავშირგაბმულობის მუშაობა

კავშირგაბმულობის მთელი ქსელის სწრაფ და ზუსტ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. პარტია, მთავრობა და პირადად დიდი სტალინი სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სოციალისტურ კავშირგაბმულობას. მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხ. ვ. მოლოტოვი საკ. კ. პ. (ბ) XVII კონფერენციაზე თავის მოხსენებაში, ეხებოდა რა კავშირგაბმულობის განვითარების საკითხებს ამბობდა: „საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მოვსპოთ ჩვენი უალრესი ჩამორჩენილობა კავშირგაბმულობის მოგვარების მხრივ, რადგან ეს სოციალისტური მშენებლობის ზრდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

ამ საბრძოლო მითითების შესასრულებლად კავშირგაბმულობის ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს. კავშირგაბმულობის სხვა დარგებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამჟამად საქართველოში 648 მარტო საფოსტო დაწესებულებაა გახსნილი. მათგან 500-ზე მეტი სოფლად. საქართველოს მშრომელებმა წელს 9 თვის განმავლობაში კავშირგაბმულობის საშუალებით მიიღეს 17 მილიონზე მეტი წერილი, 89 მილიონი ცალი ჟურნალი და გაზეთი, მიიღეს და გაგზავნეს 7,5 მილიონამდე დეპეშა და სხვ.

მშრომელთა კულტურული დონის ყოველდღიური ზრდა, მისი განუხრელი აღმავლობა კავშირგაბმულობას და მის მუშაკებს დიდ ამოცანებს უსახავს. ჩვენი ბედნიერი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია სამართლიანად მოითხოვენ, რომ მათ მიერ გაგზავნილი წერილები, ფოსტის ბარათები, ამანათები, დეპეშები, ჟურნალ-გაზეთები, დაუგვიანებლად ბარდებოდეს დანიშნულებისამებრ, ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი, რადიო უკეთეს კულტურულ მომსახურებას უწევდეს მათ. კავშირგაბმულობის თვითეული მუშაკის საპატიო მოვალეობაა იბრძოლოს მშრომელთა ამ მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

მიღწევებთან ერთად კავშირგაბმულობის ორგანოებს ამჟამად მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებები ახასიათებს. მათს მუშაობაში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის შემთხვევები. კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის ბრძანებები და განკარგულებები ყველგან არ სრულდება წესიერად. კავშირგაბმულობის მთელ რიგ დაწესებულებებში უხეშად ირღვევა საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებთა ჩაბარებისა და გაგზავნის საკონტროლო ვადები, ადგილი აქვს დეპეშების დამახინჯებას, წერილების და ჟურნალ-გაზეთების დაკარგვის, ტელეფონის საქალაქთაშორისო სადგურებზე მიცემული შეკვეთების შეუსრულებლობის და უყურადღებობის სხვა მრავალ ფაქტებს.

საკმარისია ითქვას, რომ ზემდინარე წლის 3 კვარტალში საქართველოს კავშირგაბმულობის დაწესებულებებმა დაგვიანებით გადასცეს აპარატით კლიენტებისაგან მიღებული 1.752.362 დეპეშა, ამავე დროს საკონტროლო ვადების დარღვევით ჩააბარეს მომღებთ 303 ათას ცალზე მეტი დეპეშა. მაიაკოვსკის რაიონში დაგვიანებით გადაცემულია დეპეშების საერთო რაოდენობის 69,9 პროცენტი, დამახინჯებით მიღებულია მთელი შემავალი დეპეშების თითქმის ერთი მეხუთედი. სატელეგრაფო გზავნილებათა მოძრაობის საკონტროლო ვადები უხეშად ირღვევა აგრეთვე ქუთაისის, ახალქალაქის, მახარაძის, ლაგოდეხის, სტალინირის, წითელწყაროს, გურჯაანის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. არის შემთხვევები, როცა ლაგოდეხის, კობის და კავშირგაბმულობის სხვა განყოფილებები კადრების უყოლობის გამო 2-3 დღით აგვიანებენ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფიდან დეპეშების მიღებას, როცა წესით დეპეშა მიმღებს რაზდენიმე საათში უნდა ბარდებოდეს.

მთელ რიგ რაიონებში მოუწესრიგებელია ფოსტის წესიერი გაცვლა. ფოსტის 32 პუნქტის განკარგულებაში არსებული 156 ავტომანქანიდან საფარების უქონლობით საფოსტო გზავნილებათა გადაზიდვაზე ამჟამად მხოლოდ 22 მუშაობს. საფოსტო ქსელის სუსტ მუშაობას ისიც მოწმობს, რომ მიმდინარე წლის სამ კვარტალში დაკარგულ საფოსტო გზავნილებათა ასანაზღაურებლად კლიენტებს მიეცა 10.000 მანეთზე მეტი თანხა, ამავე ხნის განმავლობაში ფოსტის მუშაკთა შესახებ მიღებულია მშრომელთა 9.000-მდე საჩივარი.

ამჟამად საქართველოში სოფლის წერტილის 2.151 დამტარებელი მუშაობს. ეს რაოდენობა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სანამუშოდ გვქონდეს დაყენებული სოფლად საფოსტო გზავნილებათა მიწოდების საქმე, მაგრამ ეს ასე როდია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას წერილების დამტარებლად გამოყოფილი ჰყავს მცირემცოდნე და შრომისუნარმოკლებული კოლმეურნეები. ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები როდი ითვალისწინებენ იმას, რომ წერილების დამტარებლებად და ფოსტის მზიდავებად საქმის მცოდნე და მოწინავე კოლმეურნეების გამოყოფით ისინი ხელს შეუწყობენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კულტურულ მომსახურებას. სოფლის წერილდამტარებელთა როლის შეუფასებლობას ისიც მოწმობს, რომ აჭარის ასსრ, გორის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და სხვა რაიონების კავშირგაბმულობის კანტორები დაუშვებლად აჭიანურებენ სახალხო კომისრის ბრძანებით გადაგზავნილი იმ თანხების ათვისებას, რომლებიც წერილების მოწინავე დამტარებელთა დასაჯილდოებლად არის გამოყოფილი.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულას სამმართველომ მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდოს ხელი ამ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებას. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სახალხო კომისრის ბრძანებათა და განკარგულებათა დროულად შესრულებას, ძირეულ რგოლებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სოციალისტური ფართოდ გაშლას, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

„კავშირგაბმულობის განვითარების საქმეს ჩვენს პირობებში უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს“ (ვ. მოლოტოვი). პარტიის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ვალდებულნარიან ოპერატიულად უხელმძღვანელონ და დაეხმარონ კავშირგაბმულობის დაწესებულებებს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში, იზრუნონ და ხელი შეუწყონ კვალიფიციური, საქმის მცოდნე და უნარიანი კადრებით მათს განმტკიცებას.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ყოველი რგოლი მუდამ შეუფერხებლად, საათის მექანიზმივით მუშაობდეს. სოციალისტური კავშირგაბმულობის მუშაკებმა, რომლებიც პარტიის, მთავრობის და პირადად ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** შეუნელებელი ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოცულნი, არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლის სანამუშო მაგალითები უნდა გვიჩვენონ.

ამხ. დეკანოზოვის ჩასვლა ბერლინში

ბერლინი, 28 ნოემბერი (საკდესი). დღეს ბერლინში ჩამოვიდა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში, ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი. ვაგზალში ამხ. დეკანოზოვს გერმანიის მხრივ შეხვდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი: საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი ვერმანი, საოქმო განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ფონ გალემი და აღმოსავლეთ - ევროპის განყოფილების გამგე შლიპი.

ამხ. დეკანოზოვს შეხვდნენ აგრეთვე მრჩეველნი სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა გერმანიაში ამხ. სემიონოვი და ქობულოვი, საგაჭრო წარმომადგენელი ამხ. ბაბარინი, სამხედრო ატაშე ამხ. სკორნიაკოვი და საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის და საგაჭრო წარმომადგენლობის სხვა თანამშრომელნი.

ბულგარეთი უარაკყოფს

ბულგარეთის მოსკოვის მისიის თხოვნით, ვაქვეყნებთ ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს შემდეგს უარყოფას:

„ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო სოფიიდან იუწყება, რომ საზღვარგარეთ, უმთავრესად, ბუქარესტსა და ბელგრადში გავრცელებული ხმა, თითქოს ბულგარეთში არეულობაა, მთავრობა შეიცვალა და სამხედრო წესებია შემოღებული, ტენდენციურია და თავიდან ბოლომდე მოგონილია. მთელს ბულგარეთში სრული სიმშვიდეა“. (საკდესი).

მძლავრი რეფლექტორი ცის სხეულების გამოსაკვლევად

ლენინგრადი, 28 ნოემბერი (საკდესი). გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სახელობის ქარხანაში გაკეთებულია მძლავრი რეფლექტორი, რომელიც განკუთვნილია მცირე ზედაპირული მკაფიობის ცის სხეულების გამოსაკვლევად. რეფლექტორი სამუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას, მაგალითად, ეგრეთწოდებული გარეგალაქტიკური ბუნდოვანობა; მანძილი ამ სხეულამდე მილიონობით შუქწელს უდრის.

ამ ასტრონომიული ხელსაწყოს ცარკის დიამეტრი 670 მილიმეტრს უდრის. რეფლექტორის შუქძალა უდრის 1:2, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი რეფლექტორების შუქძალა 1:5 არ აღემატება.

„ცისფერი ტრამვაის“ მიერ გამომუშავებული ენერგიის გამოყენება

ამჟამად მოსკოვში ათობით „ცისფერი ტრამვაი“ დადის. ექსპლოატაციის დროს ისინი ბევრით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ვაგონებისაგან. როდესაც ვატმანი დენს ჩართავს და ტრამვაი ინერციით მოძრაობს, ამ ვაგონების მოტორები ელექტროენერგიის გამომუშავებას იწყებენ და რკალით (დენმიმღებით) ამ ენერგიას კონტაქტურ ქსელში ჭეშავნიან. ამ დენს სხვა ტრამვაები იყენებენ, მაგრამ, როცა მახლობლად ენერგიის მომხმარებელი არ არის, კონტაქტურ სადენში ძაბვა მკვეთრად ძლიერდება.

ოსტანკინოს ელექტროქვესადგურში დამონტაჟებულია პირველი დადგმულობა, რომელიც ნთქავს ზედმეტ ენერგიას. შემდგომში გათვალისწინებულია მოეწყოს „ცისფერი ტრამვაის“ მიერ გამომუშავებული ენერგიის გადაცემა ქალაქის ქსელში საწარმოთა და საცხოვრებელი სახლების საჭიროებისათვის. (საკდესი).

ო. ი. კობილიანსკაიას იუბილეს გაღაღა ჩერნოვიცში

ჩერნოვიცი, 28 ნოემბერი (საკდესი). ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს ცნობილი უკრაინელი მწერლის, ო. ი. კობილიანსკაიას ლიტერატურული მოღვაწეობის 55 წლისთავი.

ჩერნოვიცის ქალაქის თეატრში გაიმართა საზეიმო საიუბილეო სხდომა, რომელსაც ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ო. ი. კობილიანსკაიას ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მწერალმა დ. კოსარიკმა. უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით იუბილარს მიესალმა ორდენოსანი პ. პანჩი. წაკითხულ იქნა მოსკოვიდან, ტაშკენტიდან, პეტროზავოდსკიდან, რიგიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან მიღებული მრავალი მისასალმებელი დეპეშა. ორდენოსანმა პოეტებმა ვ. სოსიურამ და ა. მალიშკომ წაიკითხეს იუბილიარისადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსები.

ო. ი. კობილიანსკაია ავადმყოფობის გამო საღამოს ვერ დაესწრო. მის ბინაზე დადგმული იყო მიკროფონი. თავის სიტყვაში, რომელიც რადიოთი იყო ტრანსლირებული, მწერალმა ქალმა მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას და მშრომელებს ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ო. ი. კობილიანსკაიას ბინაზე გაიმართა მწერლის ამხანაგური შეხვედრა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან.

აგარის მტს-მა მზრალად ხვნის გეგმა შეასრულა

28 ნოემბრისათვის აგარის მტსმა მზრალად ხვნის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.540 ჰექტარისა, მოხნულია 3.770 ჰექტარი.

აგარის მტს-ის დირექტორი მიქაძე

ს. მ. კიროვის ხსოვნისათვის

კიროვსკი, 29 ნოემბერი (საკდესი). სერგეი მირონისძე კიროვას ვერაგულად მოკვლის მეექვსე წლისთავთან დაკავშირებით საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება საუბარი და ლექციები ს. მ. კიროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აქ ბევრა მუშაკი პირადად იცნობდა სერგეი მირონის-ძეს, უსაუბრნია მასთან იმიერპოლარეთში მისი ჩამოსვლის დროს. დიდი სიყვარულით იგონებენ ისინი მგზნებარე რევოლუციონერ-ბოლშევიკის მომხიბვლელ სახეს.

აპატიტის მთის კუკისვუმჩორის კალთებზე სდგას პატარა სტანდარტული სახლი, ამჟამად კიროვის მუზეუმი. აქ 11 წლის წინათ სერგეი მირონის-ძე გეოლოგებთან ერთად ადგენდა მსოფლიოში უდიდესი აპატიტის მაღაროს მშენებლობის გეგმას.

ტუნდრაში გაშენდა შესანიშნავი ქალაქი, რომელიც კიროვის სახელს ატარებს.

30 ნოემბერს ქალაქის თეატრში და კლუბებში გაიმართება ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო საღამოები.

ქაზანი, 28 ნოემბერი (საკდესი). ყაზანის კიროვის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა ინსტიტუტის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია კიროვის კუთხეს. მექანიკურ-ტექნიკურ სასწავლებელში (რომლის ბაზაზე შექმნილია ინსტიტუტი) სწავლობდა სერგეი მირონის-ძე კიროვი. დოკუმენტებითა და ფოტოგრაფიებით ნათლად ასახულია კიროვის ცხოვრება ყაზანში. აქ წარმოდგენილია მრავალი იშვიათი დოკუმენტი (კიროვის ბავშვობის დროინდელი ნახატები, მოწაფეობისდროინდელი ნახაზები, სერგეი მირონის-ძისა და მისი მშობლების ფოტოგრაფიები).

30 ნოემბერს ინსტიტუტში გაიმართება ს. მ. კიროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო საღამო.

o

ლექციები, მოხსენებანი და საუბრები კიროვის შესახებ გაიმართება აგრეთვე კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებში, ვოროშილოვსკში, იაკუტსკში, კიროვაბადში, სტალინსკში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

რევოლუციის მგზნებარე ჯრიბუნის ს. მ. კიროვის ნათელი ხსოვნისათვის

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, სერგეი მირონის-ძე კიროვის ავაზაკური მკვლელობის მეექვსე წლისთავზე მირონიჩის ნათელი ხსოვნის აღსანიშნავად თბილისის მშრომელები გამართავენ საღამოებს, მოხსენებებსა და გამოფენებს. საქართველოს სერგეი მირონის-ძის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივი 1 დეკემბერს საერთო საცხოვრებლებში გამართავს კრებებს, აგრეთვე ს. მ. კიროვისადმი მიძღვნილ საუბრებს. 2 დეკემბერს ინსტიტუტში საერთო კრება გაიმართება. ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყობა ს. მ. კიროვის ნაწარმოებთა, ს. მ. კიროვის შესახები ლიტერატურისა და აგრეთვე იმ ფოტოილუსტრაციების გამოფენები, რაზედაც ასახული იქნება ცხოვრების გზა შეუდრეკელი ბოლშევიკისა, რომელმაც მუშათა კლასის საქმეს შესწირა მთელი თავისი ბრწყინვალე და მჩქეფარე სიცოცხლე.

წლისთავზე სპეციალური მასალებით გამოვა კედლის გაზეთები. საარჩევნო უბნებში მომუშავე აგიტატორები საუბრებს გამართავენ მოსახლეობასთან.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს - ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი გამოსაცემად ამზადებს დიდ წიგნს—„ს. მ. კიროვი კავკასიაში“.

წითელი არმიის საოლქო სახლი გამართავს ს. მ. კიროვის ხსოვნის საღამოს. ლადო კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის საქალაქო სახლი მოაწყობს კიროვის ნაწარმოებთა, ს. მ. კიროვის შესახები ლიტერატურისა და აგრეთვე იმ ფოტოილუსტრაციების გამოფენები, რაზედაც ასახული იქნება ცხოვრების გზა შეუდრეკელი ბოლშევიკისა, რომელმაც მუშათა კლასის საქმეს შესწირა

VII სრულიად-საკავშირო ქიმიური შეჯიბრება

შეჯამებულია ქიმიური შეჯიბრების შედეგები; ეს შეჯიბრება 1940 წლის 1 ივლისიდან 1 ნოემბრამდე მიმდინარეობდა რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში.

საარაონო ქიმიურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თავდაცვა-ავიაქიმის 36.888 პირველადმა ორგანიზაციამ — 6.200.000-ზე მეტმა კაცმა. საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ქიმიურ შეჯიბრებაში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა საზოგადოების 2. 530 პირველადი ორგანიზაცია.

შეჯიბრების დღეებში მარტო ორ რესპუბლიკაში — რუსეთის სფსრ რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკაში—ახლად შექმნილია თავდაცვა-ავიაქიმის 1.550 პირველადი ორგანიზაცია. 1940 წლის 5 თვის განმავლობაში 1.120 ათასმა მშრომელმა ნორმები ჩაბარა ნიშნაზე „მზად ვარ საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის“.

საზოგადოების 136 პირველადი ორგანიზაცია დამტკიცებულია VII სრულიად-საკავშირო ქიმიური შეჯიბრების მონაწილედ; ეს შეჯიბრება ჩატარდება 1-დან 15 დეკემბრამდე. (საკდესი).

ძვირფასი გამოგონება

ვოროშილოვგრადი, 28 ნოემბერი (საკდესი). „სერგოუგოდის“ ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს მბურღავმა ამხ. დერგოუსოვმა გამოიგონა მოწყობილობა — ჩარხი, რომლის შემწეობითაც სანგრევში ერთდროულად მუშაობს ორი საბურღავი ჩაქუჩი. ამასთან ეს ჩაქუჩები ფიზიკური ძალის გამოყენებას არ მოითხოვენ. ერთერთი ყველაზე შრომატევადი პროცესის ავტომატიზაციის წყალობით, ბრიგადებში, რომლებიც მოსამზადებელ სამუშაოს ასრულებენ, მნიშვნელოვნად შემცირდა მუშახელის რაოდენობა. შტრეკების გაყვანა 30-40 პროცენტით დაჩქარდა.

ამ დღეებში მაღაროში ჩაუშვეს ორჩაქუჩიანი პირველი ხუთი ჩარხი. ამ ჩარხებით „ნიკანორის“ უბანზე დაიწყეს „ატამანის“ უბნის კვერშლაგის გაყვანა და რამდენიმე სხვა მოსამზადებელი სამუშაოს შესრულება.

„ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის მექანიზაციისა და რაციონალიზაციის ჯგუფი სპეციალურ მოძრავ ურიკას აკეთებს, რომელზედაც ამბ. დერგოუსოვის პრინციპის მიხედვით დამონტაჟებული იქნება 8-მდე ჩაქუჩი.

სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეული

მეოთხე დღე

თბილისში გრძელდება სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეულისადმი მიძღვნილი მოხსენებანი და ლექციები. ამ მოხსენებებსა და ლექციებს, ისევე როგორც პირველ დღეებში, მრავალი სამხედრო და სამოქალაქო ექიმი, დოცენტი და პროფესორი ესწრება.

28 ნოემბერს წითელი არმიის საოლქო სახლის სალექციო დარბაზში პირველად მოსმენილ იქნა პროფესორ ცხაკაიას მოხსენება თემაზე: „ტრანსპორტის იმმობილიზაცია ჯარის რაიონში“. ეს მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენება ილუსტრირებული იყო სურათებით და ყოველგვარი იმ სალტეების ნიმუშების ჩვენებით, რომლებსაც იყენებენ ტრავმის სხვადასხვა შემთხვევაში. თავის მოხსენების დასასრულს პროფესორმა ცხაკაიამ დამსწრეთ უჩვენა ადამიანზე სალტეების დადების მეთოდები.

მეორედ მოსმენილ იქნა ექიმ თოფურიას მოხსენება — „ახალი რამ მკვეთრის შესახებ და მასთან ბრძოლის ზომები“.

პროფ. მუხაძემ წაიკითხა მოხსენება „ჩვენება და საწინააღმდეგო ჩვენება სისხლის გადასხმისათვის“. მოხსენებას თან ახლდა სისხლის გადასხმის აპარატურის დემონსტრაცია და აპარატურის გამოყენების მეთოდების განმარტება.

მოხსენებებმა, განსაკუთრებით ექიმ თოფურიას მოხსენებამ, გაცხოველებული აზრთა გაცვლა გამოიწვია აუდიტორიასა და მომხსენებელს შორის.

o

30 ნოემბერს გაიმართება სამხედრო-საველე ქირურგიის კვირეულისადმი მიძღვნილი მოხსენებანი: დოცენტი ჩიქოვანისა „ზურგის ტვინის დაზიანების მკურნალობა“, დოცენტი გიგოლოვისა—„გულბოყვის დაზიანების მკურნალობა“ და პროფესორი თოდაძისა — „მენჯისა და შარდსასქესო გზების მკურნალობა ჯარის რაიონში“. ეს მოხსენებანი მოეწყობა № 1 საჩვენებელ ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

1 დეკემბერს დილის 10 საათზე ნავთლუღში საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის ტერიტორიაზე მოეწყობა გაშლილი საველე საექიმო პუნქტებისა და სამხედრო - სასანიტარო ტექნიკის ჩვენება. იქვე მოეწყობა სამხედრო-საველე ქირურგიისა და სანიტარული ტექნიკისადმი მიძღვნილი გამოფენა. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის ქალაქები. **სურათზე:** მოლდავეთის რესპუბლიკის დედაქალაქი კიშინიოვი. ალექსანდრეს ქუჩის ხედი. მარცხნივ — ბ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის შენობა. ცენტრში — სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა, მარჯვნივ—ათწლედი. (საკდესის ფოტოქრონიკა)

სსრ კავშირის და უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა დასახელება

ჩერნოვიცი, 28 ნოემბერი, (საკდესი). ჩერნოვიცის ოლქში დაიწყო სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

სადაგურსკის რაიონის ზადუბრივის სოფლის საბჭოს გლეხებმა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ნიკოლოზ ვასილის-ძე პავლიუკი. ამხ. პავლიუკი — სოფლის საბჭოს თავმჯდომარე — დიდი პოპულარობით სარგებლობს მშრომელთა შორის. სოფელ კუზერივ-ველიკის 3.000 გლეხის კრებაზე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ივანე სამოილის-ძე გრუშეცკი — პარტიის ჩერნოვიცის საოლქო კომიტეტის მდივანი.

სოფელ ბილეს გლეხებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარის სარდალი, არმიის გენერალი, სტენთა ალმასის გვირგვინოსანი, ალექსანდრეს-ძე ეუსკოვი. კრებაზე გამოსულნი აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ სახელოვანი წითელი არმიის — რუმინელ მემამულეთა უღლისაგან ჩერნოვიცის ოლქის მშრომელთა განმათავისუფლებელი სახელოვანი წითელი არმიის შესახებ.

დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები ოლქის სხვა სოფლებსა და ქალაქებშიც. მშრომელები ერთსულოვნად ასახელებენ დეპუტატობის კანდიდატებად ხალხის საუკეთესო შვილებს, სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ ადამიანებს.

გულითადი შეხვედრა

ვილეიკა, 28 ნოემბერი (საკდესი). პან რუდნიცკის ყოფილი ცხე-დარბაზი მორთულია წითელი დროშებითა და ლოზუნგებით. სულ ცოტა ხნის წინათ გლეხებს ამ ცხე-დარბაზის ახლოს გავლაც კი ეშინოდათ, ახლა კი ისინი — ცხე-დარბაზის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი — იქ შეიკრიბნენ, რათა შეხვედროდნენ საოლქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, ზაბოლოტის სკოლის მასწავლებელს, იანინა ივანეს-ასულ ნადოლსკაიას.

ამომრჩევლები გულთბილად შეხვდნენ მის გრძნობიარე სიტყვას იმის შესახებ, თუ რა უსაზღვროდ ბედნიერია იგი — ღარიბი გლეხის შვილი, რომელმაც უფლება მიიღო აირჩიოს და არჩეულ იქნას საბჭოთა ხელისუფლების — მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი ხელისუფლების ორგანოებში. ამხ. ნადოლსკაიამ მხურვალე მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მისთვის გამოცხადებული ნდობისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა მოჯამაგირემ — ამჟამად ლებედევსკის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, იოსებ ბაკენტის-ძე გერნატმა.

— ამ სახლში, — სთქვა მან, — პანები უზომოდ სჭამდნენ, სუქდებოდნენ, ბალებს მართავდნენ, ჩვენ კი, რომლებიც მათთვის ვმუშაობდით, ვშიმშილობდით, სიცივესა და საღატაკეში ვცხოვრობდით. დიადი საბჭოთა კავშირი დაგვეხმარა, რათა კაპიტალიზმის უღელი დადაგვეგდო. ამჟამად ჩვენ კომუნისტური პარტიის შემწეობით ვანმტკიცებთ ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას. ხალხის საუკეთესო შვილებს ჩვენს წარმომადგენლებად ვგზავნით საბჭოებში. საოლქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი ამხ. ნადოლსკაია — საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი — მისი ღირსეული დეპუტატი იქნება.

კრების დამთავრების შემდეგ გლეხთა ჯგუფები გაემართნენ იქვე, ცხე-დარბაზში მოწყობილ სააგიტაციო პუნქტში. აქ გლეხებმა მოისმინეს რადიოგადაცემა, კითხულობდნენ გაზეთებს, ეკითხებოდნენ აგიტატორებს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ახალ ამბებს. სააგიტაციო პუნქტი ლებედევსკის სოფლის საბჭოს ყველა გლეხის საყვარელ დასვენების ადგილად გადაიქცა.

თათბირები ციტრუსების გამოზამთრების საკითხებზე

ბათუმი (ტელეფონით სპეც. კორ.). 29 ნოემბერს ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში შესდგა თათბირი ციტრუსების გამოზამთრების საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. შეროზია.

თათბირზე მოწვეული იყვნენ ბათუმის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის რაიონების პარტრაიკომების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიმიწგანების გამგეები, ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სხვ.

თათბირმა მოისმინა ინფორმაციები ადგილებიდან ციტრუსოვან კულტურათა გამოზამთრებისათვის მზადებაზე.

სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. დვალი (ქობულეთის პარტრაიკომის მდივანი), ამხ. ჭანუყვაძე (მახარაძის რაიმიწგანის გამგე), ამხ. გაბუნია (ჩოხატაურის რაიმიწგანის გამგე), ამხ. ბუაძე (ლანჩხუთის პარტრაიკომის მდივანი), ამხ. ალავიძე (საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე), ამხ. გოგოლაძე (ბათუმის რაიმიწგანის გამგე) და სხვ. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. თვალჭრელიძე.

თათბირზე გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ციტრუსების გამოზამთრებისათვის მზადება აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ დაუწყიათ ნერგების ფარდულებში გადატანა, არ მოუმარაგებიათ შესაფუთავი მასალა და სხვ.

დასასრულ თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. შეროზია.

ამხ. შეროზიამ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ციტრუსების გამოზამთრებისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დღეებში გამოსწორების საჭიროებაზე და დასახა მთელი რიგი ამოცანები ციტრუსების გამოზამთრების სანიმუშოდ მოწყობისათვის.

o

სოხუმი, („კომუნისტის“ კორ.). 29 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში შესდგა საოლქო თათბირი ციტრუსების გამოზამთრების საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სანერგეების გამგეები და ციტრუსების დარგში მომუშავე მეცნიერი მუშაკები. ციტრუსების გამოზამთრებისათვის მუშაობის შემდგომ მიმდინარეობის შესახებ თათბირზე ინფორმაციით გამოვიდა აფხაზეთის მიწსახკომის მოადგილე ამხ. თოდუა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: გაგრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზარანდიამ, გალის პარტრაიკომის მდივანმა ამხ. თოდუამ, ოჩამჩირის პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ჯანჯღავამ, სოხუმის პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ალანიამ, სოხუმის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ციტრუსების სანერგის გამგემ ამხ. სეფინავამ, მეცნიერ მუშაკებმა ნადარაიამ, ლავრიჩუკმა, ჯალაღანიამ, რინდინმა, საქართველოს მიწსახკომის პირველი საწარმოო ტერიტორიული სამმართველოს უფროსმა ამხ. იაკობაშვილმა და სხვებმა.

თათბირზე გამ

კოლხიდის მშენებლობაზე

1.100 კოლმეურნე რიონის ჯებირის მშენებლობაზე

ლანჩხუთი („კომუნისტის“ კორ.). კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა მდინარე რიონის მარცხენა ნაპირების ჯებირების მშენებლობაზე. ლანჩხუთის რაიონის 44 კოლმეურნეობის 1.100 კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას იღებს რიონის ნაპირების გამაგრების სამუშაოებში. მათ 8 კილომეტრზე გაჰყავთ 4-5 მეტრის სიმაღლის ახალი ჯებირი.

22 ნოემბრისათვის ლანჩხუთელ კოლმეურნეებს მდინარე რიონის ნაპირების გამაგრების სამუშაოთა გეგმა შესრულებული ჰქონდათ 100,3 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ცალკეული უბნები ისევ ჩამორჩენილი არიან.

სოფ. ზემოჩიბათის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მდ. რიონის ჯებირების მშენებლობაზე უკვე შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული 2.160 კუბური მეტრი მიწის სამუშაო და ვალდებულება აიღეს შრომითი მონაწილეობით დამატებით შეასრულონ 550 კუბური მეტრი. კოლმეურნეები დ. ზენაიშვილი, ვ. ზენაიშვილი, მ. ჯორბენაძე და სხვ. ნაცვლად 6 კუბური მეტრისა დღიურად 10-12 კუბურ მეტრ მიწის სამუშაოს ასრულებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი საქმეს აშკარა უპასუხისმგებლობით მოეკიდა. მაგალითად, აგარაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. კვეტაშვილმა ვერ უზრუნველჰყო კოლმეურნეების სამუშაოზე გამოსვლა. დანიშნული დროისათვის სამუშაოზე არც სოფ. აცანისა და სოფ. არჩეულის კოლმეურნეობებიდან მოსულან.

ქალაქის უბნის კოლმეურნეობის წევრები (თავმჯდომარე — ს. ვადაჭკორია) უხარისხოდ მუშაობენ.

სუსტია ტექნიკური ხელმძღვანელობა კოლხიდმშენისაგან; სამუშაო უბანზე, რომელიც 8 კილომეტრზეა, მხოლოდ ერთი ტექნიკოსი მუშაობს. ის ვერ ასწრებს სამუშაოს განაწილებას, აზომვას და სხვ. სუსტად არის დაყენებული სააღრიცხვო მუშაობა, გამოყოფილი აგიტატორები საუბრებს არ ატარებენ, მოწინავე უბნებისათვის დაწესებული არ არის გარდამავალი დროშა, არ ტარდება საწარმოო თათბირები, არ გამოდის საველე გაზეთები, სუსტია საექიმო მომსახურება.

ვ. მეძვაბიშვილი

კოლმეურნეები აქტიურად ეხმარებიან კოლხიდმშენს

ხობის რაიონის სოფ. ქვალონის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი წინათ სრულიად დაჭაობებული და გამოუყენებელი იყო. მას შემდეგ, რაც კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოები დაიწყო, მდგომარეობა სავხებით შეიცვალა. არხების გაჭრამ, მდინარეთა ნაპირების გამაგრებამ და ახალი გზების გაყვანამ ჩვენი სოფლის რუსთავლის სახელობის კოლმეურნეობას 700 ჰექტარი ნოყიერი მიწის ფართობი შეჰმატა.

წინათ დაჭაობებული ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე კოლმეურნეობამ შარშან 22 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ხოლო წელს — 27 ცენტნერი. წელს რუსთავლის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს თვითეული შრომადღეზე ერთ ფუთამდე სიმინდი ხვდათ.

ქვალონელი კოლმეურნეები, რომლებსაც წინათ წლის სარჩოც ვერ მოჰყავდათ, შრომადღეებზე მიღებულ სიმინდს ახლა ასეულ ფუთობით საკოლმეურნეო ბაზარზე ჰყიდიან.

კოლმეურნეები თვალნათლივ ხედავენ, რომ კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოების ვადაზე დამთავრება კიდევ უფრო გააუმჯობესებს მათს კეთილდღეობას. ამიტომ არის, რომ ისინი აქტიურად ეხმარებიან კოლხიდმშენს. მარტო წელს ქვალონის რუსთავლის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ფერგანული მეთოდით კოლხიდმშენში 35.000 მანეთის სამუშაო შეასრულეს. გარდა ამისა, მათვე შეასრულეს 12.000 მანეთის ფასიანი სამუშაო. კოლმეურნეებს აღებული აქვთ ვალდებულება წელს კოლხიდმშენში დამატებით 8.000 მანეთის სამუშაო შეასრულონ.

ვ. ლაგვილავა

ხობის რაიონის სოფ. ქვალონის საოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია კოლხიდმშენში

საქართველოს კომკავშირი კოლხიდის მშენებლობის შეფია. ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ ჭაობის დაშრობის, ჯებირების მოწყობის, გზების გაყვანის და სხვ. სამუშაოთა გეგმების შესრულებაში. წელს კოლხიდმშენმა 17 მილიონი მანეთი უნდა აითვისოს. ამ სერიოზული დავალების წარმატებით შესრულებაში ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და ახალგაზრდობის კიდევ უფრო ფართოდ დასარაზმავად გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ კოლხიდმშენში მოაწყო გამსვლელი რედაქცია.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ გამსვლელმა რედაქციამ, რომელიც კოლხიდმშენის სამუშაოებზე 1 ნოემბრიდან 24 ნოემბრამდე დარჩა, გამოუშვა ნაბეჭდი გაზეთის შვიდი ნომერი. გაზეთის თვითეულ ნომერში ფართოდ არის ნაჩვენები ახალი კოლხიდისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის ცხოვრება და შრომა. გამსვლელი რედაქციის მუშაობამ ხელი შეუწყო კოლხიდმშენში მომუშავე კოლმეურნეობებსა, საკოლმეურნეო ბრიგადებსა და ცალკე კოლმეურნეთა შორის მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლას, მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების გავრცელებას, ნაყოფიერ შრომასთან ერთად ახალგაზრდობის გონიერული დასვენებისა და გართობის მოწყობას.

გამსვლელი რედაქციის მიერ გამოშვებულ გაზეთებში კოლხიდის დაშრობის და ათვისების გეგმების შესრულების მიმდინარეობასთან ერთად გაშუქებულ იქნა ფიზკულტურის, თავდაცვის ნორმების ჩაბარების, აგროსწავლების, საველე კედლის გაზეთების მუშაობის, საექიმო მომსახურების, ლექცია-მოხსენებების მოწყობის და კომკავშირული ცხოვრების სხვა მრავალფეროვანი საკითხები.

1941 წლის სრულიად-საკავშირო საოფლო-სამეურნეო გამოფენის მომზადებულად შეხვედრისათვის „ახალგაზრდა კომუნისტის“ გამსვლელი რედაქციის თაოსნობით მოეწყო ფოთის ლ. ბერიას სახელობის გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდის“ კომკავშირელთა სოცშეჯიბრება, გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით ჩატარდა ნორჩ ნატურალისტთა თათბირი.

საერთოდ გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ კოლხიდის მშენებლობაზე გამსვლელი რედაქციის მოწყობით კარგი საქმე გააკეთა.

სანიმუშოდ მოვამზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის სახელოსნო სასწავლებლები,

რკინიგზის სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები

მომავალი ზეინკლები, ხარაზები, მემანქანეები...

გუშინ თბილისს ჩამოვიდნენ სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეული ახალგაზრდები. სადგურზე მათ შეხვდნენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მუშაკები, პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახალი სკოლებისა და სასწავლებლების დირექტორები და მასწავლებლები.

7 საათსა და 45 წუთზე მატარებელი № 43 ბათუმი-თბილისი სადგურის ბაქანზე ჩამოდგა. განსაკუთრებით გამოირჩევა მეცხრე ვაგონი. მისი ფანჯრებიდან ახალგაზრდები მხიარული სახეებით იყურებიან, იღება კარი და ვაგონიდან 55 ჯანსაღი, ახალგაზრდა გადმოდის. ისინი ვანის რაიონიდან ჩამოსულან. სადგურზე მცირე შესვენების შემდეგ ახალგაზრდები № 1 და 2 სახელოსნო სასწავლებლისაკენ გაემართნენ. მათ იქ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

8 საათსა და 20 წუთზე ჩამოვიდნენ გაწვეული ახალგაზრდები ქუთაისის, ონისა და ამბროლაურის რაიონებიდან.

განსაკუთრებული ორგანიზებულობით ჩამოვიდნენ ახალგაზრდები ცხაკაიას რაიონიდან. ყურადღებას იპყრობენ ერთნაირ ტანსაცმელში გამოწყობილი, მკვირცხლი, მხიარული ახალგაზრდები. ახალგაზრდებში გამოირჩევა თეკლათელი 15 წლის ყმაწვილი ლ. რევია. იგი გვიამბობს, თუ რა ბეჯითად სწავლობდა სკოლაში, რა მუყაითად მუშაობდა კოლმეურნეობაში. მან პირველი შეხვედრისთანავე სიტყვა მისცა სახელოსნო სკოლის დირექტორს, რომ ისწავლის მხოლოდ „ფრიადზე“.

ცხაკაიადან ჩამოსული ახალგაზრდების კოლონის ხელმძღვანელი ამბ. ჯანჯღავა გვიამბობს, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა კოლმეურნე ახალგაზრდობა ახალი სასწავლებლებისა და სკოლებისადმი, რა გულთბილად გამოაცილეს გაწვეულნი, რა მხიარული და მიმზიდველი იყო მათი მგზავრობა თბილისამდე.

ზოგი ახალგაზრდა პირველად არის თბილისში. ისინი დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მთავარ ქუჩებს, კითხულობენ, რომელ მხარეზეა მათი სკოლა ან სასწავლებელი.

აგერ 15 წლის ს. ჭელიძე ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვედაშავრიდან. იგი სრულასაკოვანი ყმაწვილის შთაბეჭდილებას სტოვებს, მტკიცე პირობას იძლევა, რომ საუცხოოდ დაეუფლება საზეინკლო საქმეს.

ასე, გუშინ თბილისს ჩამოვიდა გაწვეულ ახალგაზრდების პირველი ეშელონი, ჩამოვიდნენ მომავალი ზეინკლები, ხარატები, მემანქანეები. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ახალგაზრდანო!

○

ორი სიტყვა ნაკლოვანებებზე. თბილისის სადგური ახალგაზრდების ჩამოსვლის პირველ დღეს სათანადოდ არ იყო მოწყობილი რაიონებიდან ჩამოსულთა შესახვედრად.

გაწვეული ახალგაზრდები სადგურიდან სკოლებამდე გადაჰყავდათ ერთი ავტობუსით, რაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. დღეს უფრო დიდი რაოდენობით ჩამოვლენ ახალგაზრდები. ამიტომ აღნიშნული და სხვა დეფექტები არ უნდა განმეორდეს. ჩამოსულთ ყოველ მხრივ მომზადებული უნდა შეხვდეთ.

ჯ. აბრამიძე

მომზადებული ვხვდებით სწავლის დაწყებას

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 2 ოქტომბრის დადგენილება „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ“ ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, თუ რა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ პარტია და მთავრობა ახალგაზრდობის სწავლა - აღზრდისთვის. სწავლისათვის ასეთი პირობების შექმნა ნიშნავს ისწავლო მხოლოდ ფრიადზე, ღრმად დაეუფლო არჩეულ სპეციალობას, გახდე სამშობლოსათვის სასარგებლო ღირსეული ადამიანი.

პირველ დეკემბერს დაიწყება სწავლა ახალ სასწავლებლებში. სწავლის დაწყებას ჩვენ სავსებით მომზადებული ვხვდებით. მომზადებული გვაქვს საერთო საცხოვრებელი 220 მოსწავლისათვის, შეძენილია ბიბლიოთეკისათვის დიდძალი მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური ლიტერატურა და ჟურნალები, გავაფართოეთ სასადილო, მოვამზადეთ სასკოლო ოთახები, სამხედრო, ორთქლმავლის, ტექნოლოგიის, ფიზიკის, ვაგონებისა და სამხაზველო კაბინეტები. გამოყოფილი გვაქვს 9 საკლასო ოთახი, რაც სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მოვამზადეთ სახელოსნოები. სახარატო საამქრო მზად არის თითო ცვლაში 50 მოსწავლე გაატაროს. სადურგლო საამქროს ადგილზე მოვაწყეთ ზეინკლო, სადაც ერთდროულად 100 მოსწავლე იმეცადინებს. მოწყობილია აგრეთვე სამჭედლო საამქრო.

სასწავლებლისათვის შერჩეულია საუკეთესო პედაგოგიური კადრები. ყველა მათგანს წარმოების მდიდარი გამოცდილება აქვს. ყველანი მოწინავე ადამიანები არიან. ასეთები არიან ოსტატები: მ. ალექსენკო, დ. ყუჯიაშვილი, მ. შუბითიძე, ს. ფანცულაია და სხვ., თეორიის მასწავლებლები: ს. გრიგოლაშვილი, მ. ჩხენყელი, ა. ხარატი, ვ. ფრანგიშვილი, კ. საძაგლიშვილი და სხვ. სულ სასწავლებლისათვის შერჩეულია 14 ოსტატი და 17 მასწავლებელი.

მალე გაიღება სკოლის კარი. აბმაურდებიან ოთახები, სახელოსნოები... 550 ჯანსაღი ახალგაზრდა დაიწყებს რკინიგზის სასწავლებელში მეცადინეობას. ჩვენს ენერგიასა და გამოცდილებას არ დავიშურებთ, რათა ისინი ღირსეულად და სასახელოდ აღვზარდოთ.

ი. გიგილაშვილი

თბილისის რკინიგზის სასწავლებლის დირექტორი.

თბილისის ბერიას სახელობის რაიონის გამწვევი კომისიის მიერ № 1 სახელოსნო სასწავლებელში მიგზავნილ პიონერთა ჯგუფი. ფოტო ვ. ობლიაპინისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

„ახალგაზრდა კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია კოლხიდმშენში

გავამაგრებოთ კოლმეურნეობათა ადმინისტრაციული და სამეურნეო აპარატი

მ. ზარანდია

საქ. მიწსახკომის საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი.

დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა განხორციელების საფუძველზე, საბჭოთა ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ გაიმარჯვა. კოლმეურნეობანი განმტკიცდნენ, ღღითი-ღღე იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი, უმჯობესდება კოლმეურნეთა შეძლებული, ბედნიერი ცხოვრება.

საკოლმეურნეო მოსავლიანობის შემდგომი გადიდება ჩვენს მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან ერთად კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, რაც დიდად არის დამოკიდებული კოლმეურნეობების ადმინისტრატიული და სამეურნეო აპარატის მოქნილობაზე.

ბევრ კოლმეურნეობაში ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატი მეტად გაბერილია, რაც იწვევს შრომადღეებისა და ფულადი სახსრების უკანონოდ ხარჯვას. კოლმეურნეობებში შტატების განსაზღვრის დროს ხშირად აწესებენ ზედმეტ თანამდებობებს, ზოგიერთ კოლმეურნეობაში ზერელედ ეკიდებიან ძალთა სწორად განაწილებას. ამის შედეგია ის, რომ ტექნიკურ მუშაკებად (აღმრიცხველებად, მოლარეებად, წერილების დამტარებლებად, საწყობების გამგეებად, დარაჯებად და დამლაგებლებად) აპარატში სხვადასხვა ისეთი კოლმეურნეები, რომელთა უშუალოდ ფიზიკურ სამუშაოზე გამოყენება გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს კოლმეურნეობას.

არის მთელი რიგი ფაქტები იმისა, როცა ადგილობრივი სამეწარმოქმედო ორგანოები და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის შტატების განსაზღვრის დროს აშკარა დაუდევრობას იჩენენ, რასაც თბილისის და სხვა რაიონების მაგალითებიც ადასტურებენ.

თბილისის რაიონის სოფანლუღის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ადმინისტრატიულ - სამეურნეო აპარატში მუშაობს 194 კოლმეურნე, ანუ შრომისუნარიან კოლმეურნეთა საერთო რაოდენობის 13,2 პროცენტი. კოლმეურნეობას ჰყავს 13 ბუხჰალტერი და მოანგარიშე, 4 ექსპედიტორი, 4 დარაჯი, კულტმუშაკი, ურთიერთდამხმარე სალაროს ხელმძღვანელი და სხვ. როგორც ვხედავთ, ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატი აქ ძლიერ გაბერილია.

ამ კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს შრომადღეებს უწერენ ისეთ სამუშაოზე, რომელიც აუცილებლად უნდა სრულდებოდეს საზოგადო დატვირთვის წესით. მაგალითად: ურთიერთდამხმარე სალაროს ხელმძღვანელს წელიწადში ერიცხება 720 შრომადღე, კულტმუშაკს — 480 შრომადღე. პარტორგანიზაციის მდივანს, როგორც კოლმეურნეობის სავაჭრო დარგის ხელმძღვანელს, 600 შრომადღეს უწერენ. ფაქტიურად კი ამ სამუშაოს ასრულებს სხვა, რომელსაც თვეში ეძლევა ფულად 600 მან. 3306 შრომადღე ეწერება 5 კოლმეურნის, რომელნიც სასადილოში მუშაობენ, 2712 შრომადღე ეწერება ექსპედიტორებს და სხვა.

წყალტუბოს რაიონის 32 კოლმეურნეობაში წლის განმავლობაში მარტო დარაჯებს ერიცხებათ 7440 შრომადღე. რაიონის 16 კოლმეურნეობაში თავმჯდომარეთა მოადგილეები განთავისუფლებული არიან ფიზიკური მუშაობისაგან; მათ ეწერება 4188 შრომადღე. კოლმეურნეობათა კანტორებში მომუშავე შრომის აღმრიცხველებზე იხარჯება 6574 შრომადღე იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობის კანტორაში ამ თანამდებობაზე სულ არ უნდა იყოს განთავისუფლებული მუშაკი, ვინაიდან შრომადღეთა აღრიცხვას ბრიგადებში თვით ბრიგადირი უნდა აწარმოებდეს, ხოლო კანტორაში ამ საქმის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საანგარიშო დარგის მუშაკებს. ამავე რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მეხანძრეთა განთავისუფლებული რაზმი შესდგება 7 კაცისაგან, რომლებსაც წელიწადში ეწერებათ 1080 შრომადღე. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობა „მოწინავეში“ მუშაობს ეგრეთწოდებული ჩაის დარგის ხელმძღვანელი, რომელსაც წლიურად ეწერება 600 შრომადღე, ჩაის მცველი, რომელსაც ეწერება 120 შრომადღე, ჩაის მზიდავებსა და მწონავებს ეწერებათ 240 შრომადღე, ფიზკულტურის ხელმძღვანელს—120 შრომადღე.

გაუგებარია, რისთვის დასჭირდა ამ კოლმეურნეობებს სპეციალურად განთავისუფლებული მუშაკები ზემოთ დასახელებულ თანამდებობებზე, როდესაც არსებობენ ბრიგადები, ბრიგადირები, რგოლები და რგოლის ხელმძღვანელები ჩაის დარგში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მათზე მიმაგრებული ფართობის მოვლასა და დაცვაში.

ამგვარი შტატების დაწესება იწვევს არა მარტო უნაყოფო ხარჯებს, არამედ ამასთან ერთად ბრიგადირებისთვის პასუხისმგებლობის მოხსნასაც. საკვირველია, რა საჭირო იყო ჩაის მწონავებისა და მზიდავების შტატის დაწესება, როდესაც არსებობს ამ სამუშაოთა ნორმები. კოლმეურნეს, რომელსაც მოუხდება მისი შესრულება, უნდა დაერიცხოს შრომადღეები ნორმის მიხედვით.

ადმინისტრატიულ - სამეურნეო აპარატი მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაშიაც არ არის დაზუსტებული. კოლმეურნეობის აპარატში აქ მუშაობს 32 კაცი, მათ შორის 4 დარაჯი, რომლებსაც წლიურად ეწერებათ 600 შრომადღე, წერილების 3 დამტარებელს — 700 შრომადღე და სხვ.

ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე ხორშის (ცხაკაიას რაიონი) კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობას სულ 228 შრომის უნარიანი წევრი ჰყავს, აქვს 280 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები და ერთი არც ისე დიდი ფერმა. კოლმეურნეობას ადმინისტრატიულ-სამეურნეო შტატში ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც თვეში ეწერება 52 შრომადღე, თავმჯდომარის მოადგილე — 35 შრომადღე. მთელი წლით ფიზიკური მუშაობიდან განთავისუფლებული 5 ბრიგადირი, რომლებსაც თვითეულს თვეში უწერებათ 30 შრომადღე. ამათ გარდა კოლმეურნეობას ჰყავს აღრიცხველი, საბავშვო დაწესებულებათა ხაზით მომუშავე, 3 მეხანძრე, წერილების დამტარებლები და სხვ. თვალნათლივ სჩანს, რომ ამ კოლმეურნეობაში ფაქტიურად არსებული შტატი დიდად აღემატება აუცილებელ მოთხოვნილებას.

ადმინისტრატიულ - სამეურნეო აპარატის ხელაღებით გაბერვას ბევრ სხვა კოლმეურნეობაშიც აქვს ადგილი. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-12 მუხლის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 2 პროცენტს. 1939 წლის წლიური ანგარიშების განხილვის დროს კი წესდების ეს მოთხოვნა დამახინჯებული აღმოჩნდა გურჯაანის რაიონის 20 კოლმეურნეობაში, კასპის რაიონის 75 კოლმეურნეობაში, დუშეთის რაიონის 101 კოლმეურნეობაში და სხვ. ავიღოთ თუნდაც ისეთი მოწინავე კოლმეურნეობა, როგორიცაა მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, სადაც მეტად სუსტ კონტროლს უწევენ კოლმეურნეობის აპარატის მუშაობას და საკოლმეურნეო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვას, მაგალითად, აქ კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნე კვაჭაძეს, რომელიც ხანგრძლივ მივლინებებში გაგზავნეს, გაუნაღდეს დღიური 40 მან., ღამის გასათევი კი — 24 მან. სამივლინებო თანხების ანაზღაურების ასეთი წესი არ არსებობს.

კოლმეურნეობათა საერევნო კომისიები, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ყველაზე ფხიზელ თვალს არტელის მთელი სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის დარგში, მთელ რიგ ადგილებზე სრულ უმოქმედობას იჩენენ. ისინი ბევრგან არავითარ კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობათა ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის შტატის განსაზღვრას და მის მუშაობას. ასეთი არაგულშემატკივარი, უდარდელი საერევნო კომისიები კოლმეურნეებმა დროზე უნდა გამოამაძღვანონ და აამოქმედონ.

კოლმეურნეობებში შტატების გაბერვა დიდ ზიანს აყენებს საკოლმეურნეო წარმოებას. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოებმა კოლმეურნეობათა სამმართველო აპარატის გამარტივებისა და გაიაფების საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. ბოლო უნდა მოეღოს შრომადღეების და ფულადი სახსრების უკანონოდ ხარჯვას. კომკავშირულ, ფიზკულტურულ და სხვა მასობრივ სამუშაოებს კოლმეურნეები საზოგადოებრივი დატვირთვის წესით უნდა ასრულებდნენ. უნდა აღიკვეთოს შრომადღეთა დარიცხვა პარიკმახერებზე, მეხანძრეებზე, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემკერავებზე და სხვ.

1941 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა და რაიონის სამეწარმოქმედო ორგანოებმა ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინონ და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატში ზედმეტი თანამდებობების შექმნა.

გულდასმით უნდა შევისწავლოთ კოლმეურნეობათა ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის შემადგენლობა და მივიღოთ ზომები აუცილებელ მინიმუმამდე მისი შემცირებისათვის. ამ ღონისძიებათა გატარება გაამარტივებს, უფრო მოქნილს გახდის კოლმეურნეობათა აპარატს და ხელს შეუწყობს დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, წინ წასწევს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობას.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის ოპერაციები ინგლისზე

ბერლინი, 28 ნოემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ღამეს გერმანიის ყუმბარმშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით ქვლავ თავს დაესხნენ ინგლისს. თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ლონდონს და სხვა ქალაქებს. კენტერბერისა და ფოლქსტონის მიმდებარეობაში ინგლისელ ავიაგამანადგურებელთა ცალკეულმა შენაერთებმა სცადეს სროლა აეტეხათ გერმანიის ავიაგამანადგურებლებისათვის, მაგრამ თავი აარიდეს საჰაერო ბრძოლას.

ჯიბუჭის ბომბარდირების შედეგი

ბერლინი, 28 ნოემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, პლიმუტში იწვის საწყობები, რომლებშიაც საქონლის დიდი მარაგია. ცეცხლშია გახვეული აგრეთვე ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის განკუთვნილი ნედლეულის დიდძალი მარაგი. გამორკვეულია, რომ დასავლეთის დიდი რკინიგზის ნაგებობანი საგრძნობლად დაზიანებულია. ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ინგლისის კავშირისათვის ლონდონთან, დევონთან და სხვა ქალაქებთან.

მცურავი თავშესაფრები გერმანიის ჩამოგდებულ თვითმფრინავთა მფრინავებისათვის

ლონდონი, 28 ნოემბერი (საქდესი). ინგლისის გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ მოათავსა მცურავ თავშესაფართა აღწერა, რომლებიც გერმანიის ჩამოგდებულ თვითმფრინავთა მფრინავების გადასარჩენად დადგეს გერმანელებმა ლამანშის სრუტეში, საფრანგეთის სანაპიროს მახლობლად. „დეილი ექსპრესის“ დეკანოზი ჟორესპონდენტი ასეთი თავშესაფრის ნახაზს და მის სრულს აღწერილობას იძლევა და დასძენს, რომ რამდენიმე ასეთი თავშესაფარი ინგლისელებს ჩაუვარდათ ხელში. მცურავ თავშესაფარს ცილინდრული ფორმა აქვს და მხოლოდ 4 ფუტით სცილდება წყლის ზედაპირს. ცილინდრის თავზე დადგმულია კონუსური ფორმის პატარა კოშკი ბაირაღით. გარეგნული შესახედაობით ეს თავშესაფრები ტივტივებს მოგვაგონებენ. თავშესაფარის სიდიდეა 10 ფუტი დიამეტრი და 15 ფუტი სიღრმე. გერმანელ მფრინავებს, თუ ისინი ასეთ თავშესაფრის ახლოს აღმოჩნდნენ, გვერდზე მიმაგრებული ფოლადის კიბის საშუალებით შეუძლიათ ზედ ავიდნენ. შიგნით შედიან სანათურიდან, რომელიც წყალქვეშა ნავთა სანათურს წააგავს. თავშესაფრის შიგნით არის 4 საწოლი ლოგინის მოწყობილობითურთ, მედიკამენტებისა და ტანისამოსის ყუთი, რადიომოწყობილობა და კონსერვირებული პროდუქტები. თავშესაფართა ადგილმდებარეობა აღნიშნულია საზღვაო რუკებზე, რომლებიც აქვთ გერმანელ მფრინავებს.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 29 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას:

გერმანიის საესაჯერო ნაღმოსნები შეეცადნენ გზა გაეკაფათ ინგლისის სანაპიროსაკენ ლამანშის დასავლეთ გასასვლელით. ამ დროს ინგლისის საესაჯერო ნაღმოსნებთან ბრძოლა გაიმართა. მტრის ორი საესაჯერო ნაღმოსანი ტორპედირებულ იქნა. გერმანიის სხვა საესაჯერო ნაღმოსნებმა ინგლისის სამხრეთ სანაპიროსთან ჩასძირეს ორი გემი 9.000 ტონა წყალწყვილა და ორი პატარა გემი.

27 ნოემბერს, ღამით, და 28 ნოემბერს, დღის განმავლობაში, გერმანიის ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას ლონდონის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე. ბევრ ადგილას ახალი ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქება მოხდა.

27 ნოემბერს, ღამით, გერმანიის ავიაციამ იერიში მიიტანა სანავსადგურო ნაგებობებსა და თვით ქალაქ პლიმუტზე, სადაც ძლიერი აფეთქება მოხდა. წარმატებით იქნა ბომბარდირებული აგრეთვე შოტლანდიის ერთი დიდი ქალაქის რკინიგზის ნაგებობანი და სამრეწველო საწარმოები.

გუშინ საველე და საზღვაო არტილერიის შორსმსროლელმა ბატარეებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის გემებსა და სხვა ობიექტებს ფუერის რაიონში.

28 ნოემბერს, ღამით, ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავმა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოჰყარა ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიაში. ზოგიერთი სახლი მნიშვნელოვნად დაზიანდა. გუშინდელი დღის განმავლობაში ინგლისელ ბომბარდირებულ-აფეთქებულ რკინიგზის ნაგებობანი და სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტები. ინგლისის ავიაგამანადგურებელთა ცალკეულმა შენაერთებმა სცადეს სროლა აეტეხათ გერმანიის ავიაგამანადგურებლებისათვის, მაგრამ თავი აარიდეს საჰაერო ბრძოლას.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 29 ნოემბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა ინტენსიურად დაუშინეს ყუმბარა მდინარე მერსეის შესართავის რაიონს და ქალაქს ჩრდილოეთ - დასავლეთ ინგლისში. მდინარე მერსეის რაიონში მრავალ ადგილს დიდი ხანძარი გაჩნდა. დანგრეულია და დაზიანებულია ბევრი სახლი. ყუმბარები ჩამოჰყარეს აგრეთვე ინგლისის სამხრეთ ნაწილის ბეცერ პუნქტში.

ბომბარდირებით გამოწვეული მატერიალური ზარალი და მსხვერპლთა რიცხვი დიდი არ არის.

გუშინ გერმანიის თვითმფრინავები—ავიაგამანადგურებლები და ყუმბარმშენები — რამდენჯერმე გამოჩრდნენ კენტის საგრაფოსა და ტემზის შესართავის თავზე. თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს. კენტის საგრაფოს ერთ ქალაქში დაზიანებულია მთელი რიგი შენობები. მსხვერპლი არ არის. დღის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა მტრის ხუთი ავიაგამანადგურებელი. ინგლისის ავიაციამ 6 თვითმფრინავი დაჰკარგა.

რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის თვითმფრინავთა დიდმა შენაერთებმა ყუმბარა დაუშინეს დიუსელდორფსა და მანჰაიმს. ბომბარდირების მთავარი ობიექტები იყო გაზის ქარხნები, კომუნიკაციები და სამხედრო საწარმოები. ამას გარდა, ბომბარდირებულ იქნა ნავთსაცავები გერმანიის ერთერთ ბალტიისპირა ნავსადგურში, აგრეთვე ანტვერპენის, ბულონისა და ჰავრის ნავსადგურები.

ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტების რუმინეთის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ბუქარესტელი კორესპონდენტის გადმოცემით, დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, რომ პლოეშტში კიდევ დაგვიანებს ყოფილი მეფე კაროლის 20 მომხრე. დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, რკინის გვარდიელებმა ბუქარესტში ხელთ იგდეს პოლიციის საქმართველოსა

ნარმოების ტექნიკური პროცესის გაუმჯობესებისათვის

რკინიგზის ტრანსპორტის ერთ-ერთ მთავარ უბანს ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნები წარმოადგენენ. მათ ორთქლმავლებისა და ვაგონების სახით ტრანსპორტს უნდა მიაწოდონ ჯანსაღი მოძრავი შემადგენლობა.

ვის არ ახსოვს, რომ ჩვენი ქარხანა ამ რამდენიმე წლის წინათ 30 პროცენტით თუ აკმაყოფილებდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მოთხოვნილებას. მას შემდეგ, რაც სოციალისტურ ტრანსპორტს სათავეში ჩაუდგა სტალინური სახკომი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი, მთლიანად გარდაქმნა რკინიგზის მუშაობა, იგი გადაიქცა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე უბნად.

ქარხანაში აღიზარდა ასობით მოწინავე სტახანოველი და ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებმაც აითვისეს მძლავრი ორთქლმავლებისა და ელმავლების შეკეთების „საიდუმლოება“, რითაც 5-6-ჯერ გადიდდა პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდა ხარისხი.

ბგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქარხანას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება მოეპოვება და ბევრი რამ გასაკეთებელი გვაქვს. ჩვენი მუშაობის ერთერთ მთავარ ნაკლად იერიშობანა ითვლება. ქარხანა არ მუშაობს თანმიმდევრობით. თვის დასაწყისში მოდუნებულად ვმუშაობთ. გეგმით გათვალისწინებული მოძრავი შემადგენლობის 60-70 პროცენტს თვის ბოლოს ვაბარებთ ტრანსპორტს, მხოლოდ თვის ბოლო რიცხვებში ვიწყებთ დაძაბულ მუშაობას, რაც გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე და თვითღირებულებაზე.

რა არის ამის გამომწვევი მიზეზი?

პირველი და მთავარი მიზეზი ის გარემოებაა, რომ ქარხანა ორთქლმავლებით და ვაგონებით გეგმიანად არ მარაგდება. ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზა მთლიანად ვერ გვაკმაყოფილებს, სრულიად უკმობი სერიის ორთქლმავლებს ვიღებთ შორეული გზებიდან და ქარხნებიდან, 4-5 ათასი კილომეტრის მანძილიდან გამოგზავნილი ორთქლმავალი, ცხადია, ქარხანაში არასოდეს არ მოვა გეგმიანად. ან და თუ მოვიდა, სათანადო ნახაზებისა და ნაწილების უქონლობით თვეობით უხდებათ ეათ შეკეთებაში გაჩერება.

იერიშობანას მეორე მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რკინიგზა არ გვაწვდის კარგად შედგენილ უწყისებს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ორთქლმავალი ქარხანაში მოდის მესაკეთებლად, მისი ნაწილების შეკეთების მოცულობა კი სრულებით არ ეფარდება წინასწარ გამოგზავნილ უწყისებს. ეს იწვევს საამქროების უგეგმოდ მუშაობას.

მესამე მიზეზი ის არის, რომ რკინიგზის სამმართველო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქარხნის მოთხოვნილებებს. შეკეთების შემდეგ ორთქლმავლები და ვაგონები სასინჯ გადარბენაში თუ 6-7 საათს უნდა იყვნენ, სინამდვილეში სადგურები აჩერებენ დღე და ღამის განმავლობაში. ეს უთუოდ აფერხებს მოძრავი შემადგენლობის გეგმიანად გამოშვებას. ამასთან ერთად თვით საამქროებში არის ისეთი საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც საქიროებენ აუცილებელ გაუმჯობესებას.

შევჩერდები მხოლოდ რამდენიმე მტკივნეულ საკითხზე. ჩემი აზრით, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის კარგი იქნება შემდეგი ღონისძიებების გატარება. ქარხანაში შემოსული ორთქლმავლების დაშლისა და სამუშაოების მოცულობის წინასწარ შესამოწმებლად აუცილებელია აშენდეს სპეციალური დეპო, რაც გააადვილებს მუშაობას.

ამავე საამქროში ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შევიძინოთ სპეციალური თრევების მჩარხავი დაზგები და ჩამოვაყალიბოთ ორთქლმავლის ჩარჩოების შემკეთებელი ზეინკლების ჯგუფი.

ამწყობ საამქროში გამოკდილი სპეციალისტებისაგან უნდა შეიქმნას ტექნიკური ბიურო, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს ტექნოლოგიური პროცესების წესიერად წარმართვას.

საჭირო იქნება აგრეთვე ქარხანაში ჩამოყალიბდეს სადისპეტჩერო აპარატი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდება საამქროებში სამუშაოების განაწილება და მათი შესრულების მეთვალყურეობა.

აუცილებელია ვაგონების შესაკეთებლად გამოიყოს მუდმივი ხაზები. მოძრავი შემადგენლობის შეკეთება უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და ტექნოლოგიური პროცესების ზუსტი დაცვით. შევქმნათ განსაზღვრული, აუცილებელი სათადარიგო ნაწილების მარაგი და გადავიდეთ ვაგონების შეკეთების ეგრეთწოდებულ ვიწრო ფრონტზე.

სამსხმელო საამქროში აუცილებელია დავამზადოთ საჭირო რაოდენობის მოწყობილობა. ამავე დროს თითბრის ჩამოსხმა მიწის ყალიბებიდან გადავიყვანოთ კოკილებში ჩამოსხმაზე. ეს მოგვცემს ხარისხის გაუმჯობესებას, ფერადი ლითონის ეკონომიას და თვითღირებულების შემცირებას.

სამჭედლო საამქროში უნდა ჩამოვაყალიბოთ სპეციალური საშტამპო განყოფილება და ლითონის ჭედვა დავიწყოთ შტამპებით. ეს უდავოდ მოგვცემს დადებით შედეგებს.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ძირითად საამქროებში საჭიროა შევქმნათ თეორიული სემინარები, სადაც ამხანაგები გაეცნობიან ტექნოლოგიური პროცესების ახალ მეთოდებს. ამავე მიზნით მოწინავე ქარხნებში ყოველთვიურად უნდა გავგზავნოთ მოწინავე სტახანოველები და სპეციალისტები.

აღნიშნულ საკითხებზე ამ დღეებში იმსჯელა ჩვენი ქარხნის პარტიულ-ტექნიკურმა კონფერენციამ. დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად განვახორციელოთ ისინი.

ვ. სარიშვილი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ტექნიკური დირექტორი.

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“

(დაარსებიდან 45 წლისთავის გამო)

ჩვენი პარტიის სახელოვან ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს“, რომელიც ჩამოყალიბდა **ვ. ი. ლენინის** ხელმძღვანელობით 1895 წელს. ვ. ი. ლენინმა ამ კავშირში გააერთიანა პეტერბურგში არსებული 20-მდე მარქსისტული წრე და ამით მომზადა რევოლუციური მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რუსეთში სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი და იწყებოდა მუშათა მასობრივი მოძრაობის აღმავლობა.

„ლენინი, — ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, — „ბრძოლის კავშირის“ წინაშე აყენებდა ამოცანას — უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა მუშათა მასობრივ მოძრაობას და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის. ლენინმა წამოაყენა წინადადება პროპაგანდისტულ წრეებში თავმოყრილი მოწინავე მუშების მცირე რაოდენობას შორის მარქსიზმის **პროპაგანდიდან** მუშათა კლასის ფართო მასებს შორის საჭირბოროტო პოლიტიკურ **აგიტაციაზე** გადასვლის შესახებ. ამ მობრუნებას მასობრივი აგიტაციისაკენ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის“.

გაფიცულთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდა ცხადჰყოფდა, რომ მუშათა მოძრაობა რუსეთში უკვე წარმოადგენდა სერიოზულ ძალას.

ამიტომ „ბრძოლის კავშირის“ მუშობა როდი შემოიფარგლებოდა მარტოოდენ მარქსიზმის იდეების პროპაგანდით. კავშირი მიზნად ისახავდა ხელმძღვანელობა გაეწია მუშათა მოძრაობისათვის, დაეკავშირებინა ეკონომიური ინტერესებისათვის ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლისათვის ცარიზმის წინააღმდეგ.

საჭირო იყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთება. უამისოდ არ შეიძლებოდა მუშათა მოძრაობას მიეღო შეგნებული, პოლიტიკური ხასიათი. უამისოდ არ შეიძლებოდა სოციალიზმის იდეები გადაქცეულიყვნენ მტკიცე მატერიალურ ძალად. ამ ამოცანის განხორციელება იკისრა ვ. ი. ლენინმა. ჯერ კიდევ 1894 წელს გამოვიდა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომი — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“. ამ ნაშრომში ლენინმა ბოლომდე ამხილა ნაროდნიკების ნამდვილი სახე, მაჩიყალბი „მეგობრობა ხალხთან“, მოგვცა რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლები და რუსეთის პროლეტარიატის ისტორიული ამოცანები, გენიალურად განსაზღვრა რა რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები, ვ. ი. ლენინი შეუდგა მარქსისტულ მუშათა პარტიის შექმნას.

„ბრძოლის კავშირის“ ორგანიზაციული სტრუქტურა ასეთი იყო: კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა ცენტრალური საორგანიზაციო ჯგუფის 17 ამხანაგის შემადგენლობით. ჯგუფს ჰყავდა ბიურო, რომელსაც სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი. ბიუროში შედიოდნენ ამხ. კრჟიჟანოვსკი, ვანეევი და სხვ.

პეტერბურგი გაყოფილი იყო სამ ნაწილად, რომლებზედაც მიმაგრებული იყვნენ ცენტრალური საორგანიზაციო ჯგუფის წევრები. „ბრძოლის კავშირი“ თავის წევრების საშუალებით დაახლოებული იყო საწარმოებში მუშათა მდგომარეობასთან. „კავშირი“ ხშირად უშვებდა ფურცლებს და პროკლამაციებს, რომლებშიც აღნიშნული იყო მუშათა დევნა-შევიწროება მეფაბრიკეების მიერ. ამ პროკლამაციებსა და ფურცლებში მოთავსებული იყო მუშათა მოთხოვნები, განმარტებული იყო, თუ როგორ ებრძოლათ მუშებს თავისი ინტერესებისათვის და სხვ.

„1895 წლის შემოდგომაზე ლენინმა დასწერა ფურცელი ტორნტონის ფაბრიკის გაფიცული მუშებისა და მუშა-ქალებისადმი. ეს ფაბრიკა ეკუთვნოდა ინგლისელ მეფაბრიკეებს, რომლებიც მილიონიან მოგებას ღებულობდნენ. სამუშაო დღე აქ 14 საათზე მეტხანს გრძელდებოდა, ფეიქრები კი თვეში დაახლოებით 7 მანეთს აკეთებდნენ. გაფიცვა მუშებისათვის წარმატებით დამთავრდა. მოკლეხნის განმავლობაში „ბრძოლის კავშირმა“ დაბეჭდა ათობით ასეთი ფურცლები, მიმართვები სხვადასხვა ფაბრიკის მუშებისადმი. თვითეული ასეთი ფურცელი ძლიერ ამაღლებდა მუშების სულისკვეთებას. მუშები ხედავდნენ, რომ მათ ეხმარებიან, მათ იცავენ სოციალისტები“.

„ბრძოლის კავშირის“ მუშაობის გაფართოებამ აიძულა ცარიზმის ოხრანკა გაეძლიერებინა მეთვალყურეობა. 1895 წლის 20 დეკემბერს ვ. ი. ლენინი და „კავშირის“ სხვა ხელმძღვანელი მუშაკები დაპატიმრებულ იქნენ. ვანეევს დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა ხელნაწერები, რომლებიც გამზადებული იყო გაზეთის პირველი ნომრის გამოსაცემად. მაგრამ „ბრძოლის კავშირს“ მუშაობა არ შეუწყვეტია. მაგ., პეტერბურგის 30 ათასი ფეიქრის გაფიცვა 1896 წ. ჩატარდა „ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინი დაპატიმრების შემდეგაც ხელმძღვანელობდა „ბრძოლის კავშირს“. საპყრობილიდან იგი უგზავნიდა მათ მითითებებს, ბროშურებს, ფურცლებს და სხვ.

საპყრობილეში ლენინმა დასწერა ბროშურა „გაფიცვების შესახებ“ და პროკლამაცია „მეფის მთავრობისადმი“. საპყრობილეშივე დასწერა პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც, როგორც ცნობილია, დაწერილი იყო რძით სამედიცინო წიგნის სტრიქონებს შუა.

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ დიდი როლი ითამაშა მუშათა წრეების გაერთიანების საქმეში. 90-იანი წლების შუახანებში მარქსისტული ორგანიზაციები ჩნდება რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში და კერძოდ ამიერ-კავკასიაშიც.

„ბრძოლის კავშირში“ აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ მთელი რიგი ცნობილი ამხანაგები. ლენინის მოწაფეებს შორის იყვნენ მოწინავე მუშა ბაბუშკინი, რომელსაც ლენინი უწოდებდა სახალხო გმირს. ამ ორგანიზაციაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა ბოლშევიკური პარტიის სახელოვანმა მოღვაწემ ნ. ე. ბაუმანმა და დიდი სტალინის სახელოვანმა თანამებრძოლმა მ. ი. კალინინმა.

ამ პერიოდში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშა ამიერ-კავკასიაში აღმართა ამხანაგმა **სტალინმა** ლ. კეცხოველსა და ა. წულუკიძესთან ერთად.

„პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მნიშვნელობა, — აღნიშნულია პარტსტატისტიკის სახელმძღვანელოში, — იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, ლენინის თქმით, წარმოადგენდა **მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილი რევოლუციური პარტიის** პირველ სერიოზულ ჩანასახს.

პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ რევოლუციურ გამოცდილებას ეყრდნობოდა **ლენინი** თავის შემდგომ მუშაობაში რუსეთის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად“.

ვ. ი. ლენინი მუშათა არალეგალურ წრეში.
(მხატვარ ა. მორავოვის სურათიდან).

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ПРАВДА Рабочих и Крестьянских КОРРЕСПОНДЕНТ

XVII год издания

Адрес редакции: Москва, Ленинградское шоссе, ул. „Правда“, 25
Телефоны: Д 3-38-39
Д 3-30-09

РУКОВОДЯЩИЙ ОРГАН РАБКОРОВ, СЕЛЬКОРОВ, ВОЕНКОРОВ И ЮНКОРОВ № 20 ОКТЯБРЬ 1940

ნიადაგსახმარი სახელმძღვანელო ძირეული პრესის მუშაკთათვის

ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტის“ შესახებ.

ჟურნალი „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტი“ 17 წელია არსებობს. იგი დაიბადა ჩვენს ქვეყანაში მუშა-სოფლკორული მოძრაობის ოქტომბრისშემდგომი განვითარების ჯერ კიდევ დაწყებითს პერიოდში. იმავე ხანებში, იმ მიზნით, რომ დაეკმაყოფილებინა მუშსოფლკორთა მოთხოვნილება თავისი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების დარგში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა „პრავდასთან“ გამოეცა ხელმძღვანელი მუშა-სოფლკორული ჟურნალი.

მას შემდეგ ჟურნალი „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტი“ ნიადაგსახმარი სახელმძღვანელოა ცენტრალური, საოლქო, რაიონული და საქარხნო გაზეთების მუშკორებისა და სოფლკორებისათვის, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და სარედაქციო კოლეგიების წევრებისათვის.

ძირეული პრესისა და საკორესპონდენტო მუშაობის გამოცდილების განზოგადებით ჟურნალი კონკრეტულ მაგალითებზე გვასწავლიდა და გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიცავდეთ ბოლშევიკური პრესის პრინციპებს, როგორ უნდა გასრულებდეთ საგაზეთო და საკორესპონდენტო მუშაობაში პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს.

მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში ჟურნალმა მოათავსა რამდენიმე ათეული სახელმძღვანელო სტატია მუშ-სოფლკორული მუშაობის ძირითად საკითხებზე, მაგალითად: „კორესპონდენტის შემოქმედებითი მუშაობა“, „მსსბითან განუწყვეტელი „კავშირისათვის“, „ეუხელმძღვანელოთ მუშსოფლკორთა სწავლებას“, „საზოგადოებრივი თვითმოქმედების ნაყოფი“, „გამოვიმუშაოთ ჩვენში ჟურნალისტა-ზოგადოებრივი მუშაკის ალღო“ და სხვ.

ჟურნალში ცენტრალური ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კედლის გაზეთების, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და კორესპონდენტების გამოცდილების გაშუქებას.

უკანასკნელ ხანებში ჟურნალში მნიშვნელოვნად გაფართოვდა განყოფილება „ჩვენი კონსულტაცია“, რომელშიც მრავალტირაჟიან გაზეთებსა და კედლის გაზეთებს ეძლევა ყველაზე საჭირო რჩევები მათ პრაქტიკულ მუშაობაში, პასუხები შეკითხვებზე, იხეიბდება მიღებული გაზეთებისა და კორესპონდენციების გარჩევა.

ძირეული პრესის **მუშაკთა** და მუშსოფლკორთა საგაზეთო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა „კონსულტაციის“ განყოფილებაში გამოქვეყნებულ სტატიებს, მაგალითად: „როგორ უნდა სწერონ მუშკორებმა შრომის დისციპლინის შესახებ“, „როგორ უნდა სწერონ მუშსოფლკორებმა წარმოების მოწინავეთა შესახებ“, „კედლის გაზეთები წითელი არმიის დღეს“, „კედლის გაზეთის ნომერი 8 მარტის დღისათვის“, „მრავალტირაჟიანი გაზეთები როგორ უნდა ეხმარებოდნენ კედლის გაზეთებს“, „პრესის დღის ჩატარების შესახებ“, „კედლის გაზეთიანსადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“, „ანტირელიგიური პროპაგანდა კედლის გაზეთში“, „სატარი ავტორთან“, „გეგმა სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში“, „როგორ ვაწარმოოთ მასობრივი მუშაობა“, „თვალსაჩინოდ ვიუჩვენოთ შეჯიბრებაში ჩაბმულთა გამოცდილება“ და სხვ.

ჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობს მუშსოფლკორთა სწავლებას. ჟურნალში ამისთვის გამოყოფილია სპეციალური განყოფილება. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მოწყობილ კედლის გაზეთების რედაქტორთა და მუშსოფლკორთა კურსების მსმენელების დასახმარებლად ჟურნალი ბეჭდავდა სპეციალურ სტატიებს, მაგალითად: „კედლის გაზეთის კრიტიკული გამოსვლების შესახებ“, „პარტიული პროპაგანდა და მრავალტირაჟიანი გაზეთი“, „ზომიერების გრძნობის შესახებ“ და სხვ.

ჟურნალი დიდ როლს თამაშობს მუშსოფლკორების, კედლის გაზეთთა რედაქტორების და სარედაქციო კოლეგიების წევრების პრაქტიკულ მუშაობაში, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და რაიონული პრესის მუშაობაში. ყოველდღიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ძირეული პრესის აქტივი სარგებლობს ჟურნალით, როგორც სახელმძღვანელოთი, კითხულობს მას, იყენებს მის მიერ გაშუქებულ გამოცდილებას,— იქ გაზეთიც უკეთესად მუშაობს, იქ უკეთესად მუშაობენ მისი კორესპონდენტებიც.

ამიტომ ახალი, 1941 წლის დაწყების წინ მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციამ და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ უნდა შეამოწმოს, თუ როგორ სარგებლობს თვითონ თავისი ჟურნალით, კითხულობენ თუ არა ჟურნალს მისი მუშაკრები და სოფლკორები. ჟურნალის კითხვა, მისი გავრცელება და მასთან მუდმივი კავშირი — გაზეთების რედაქციების, სარედაქციო კოლეგიებისა და მუშსოფლკორების მთელი მუშაობის განუყოფელი ნაწილია.

უახლოეს დროში დაიწყება ჟურნალზე 1941 წლისათვის ხელმოწერის კამპანია. ამასთან დაკავშირებით ყველა ჩვენს მუშსოფლკორებს, კედლის გაზეთების რედაქტორებსა და სარედაქციო კოლეგიების წევრებს ვურჩევთ თვითონ, ინდივიდუალური წესით, ხელი მოაწერონ ჟურნალზე და აქტიურად შეიუწყონ ხელი მის გავრცელებას ძირეული პრესის აქტივის რიგებში.

მუშსოფლკორთა ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო — ჟურნალი „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტი“ — თვითეული მუშკორის, სოფლკორის, სამხკორის, ახკორის, კედლის გაზეთის რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიის წევრის ნიადაგსახმარი სახელმძღვანელო უნდა იყოს.

სემინარი ახალგაზრდა დრამატურგებისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება გამოიტანა სემინარი მოაწყოს ახალგაზრდა დრამატურგებისათვის. სემინარის მიზანია შემოქმედებითი დახმარება გაეწიოს დრამატურგებს მუშაობაში.

სემინარის მოწყობა ორდენოსან დრამატურგ შალვა დადიანს მიენდო.

უკრაინული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია

საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიის ქართულ ენაზე გამოსაცემად. წიგნში შევა უკრაინის სსრ პოეტების რჩეული ნაწარმოებები.

პ. რატიანი

ვულგარული სოციოლოგიზმი მარქსიზმის ნიღაბით

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მიხ. ზანდუკელმა გამოსცა საკმაოდ ვრცელი შრომა — „ახალი ქართული ლიტერატურა“.[1]) ეს წიგნი საქართველოს სსრ განსახკომის მიერ მიღებულია როგორც სახელმძღვანელო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის და ამჟამადაც ხმარებაშია.

ცნობილია, თუ რა მწვავედ დგას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოების შექმნის საკითხი და რაოდენ დიდია მოთხოვნილება კარგ, სტაბილურ სახელმძღვანელოზე. ასეთ პირობებში სახელმძღვანელოს გამოცემის ფაქტი — მით უმეტეს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელისი, რომელზედაც მეტად დიდია მოსწავლე ახალგაზრდობის მოთხოვნილება, მისასალმებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, მიხ. ზანდუკელის წიგნი სრულიადაც ვერ დგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე და ვერ უპასუხებს ამ გაზრდილ მოთხოვნილებას. კიდევ მეტი: წიგნი „ახალი ქართული ლიტერატურა“, რომელიც, მისი ავტორის თქმით, მარქსისტული მეთოდითაა დაწერილი, სინამდვილეში წარმოადგენს მარქსის ისტორიული მატერიალიზმის გაყალბებას და მის შეცვლას ვულგარული სოციოლოგიით, მექანიკური მატერიალიზმით.

წიგნის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ავტორი აცხადებს, რომ მან საჭიროდ დაინახა წიგნის შესავალ ნაწილში მოკლედ, მთავარ ხაზებში „ლიტერატურის და მისი კვლევა-ძიების მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით გარკვევა“ მოეცა. სინამდვილეში კი ავტორი მარქსისტულ აზრებად აცხადებს ვ. ფრიჩეს, აგრეთვე ეკლექტიკოს პ. საკულინის მთელ რიგ აშკარად მცდარ დებულებებს; ამასთან კლასების რაობისა და მათი ფსიქოლოგიის „მარქსისტული“ გაგების სისწორის დასადასტურებლად იგი ხალხის საზიზღარი მტრის ნ. ბუხარინის ანტიმარქსისტულ აზრებსაც კი იშველიებს. წიგნის პირველი ტომის მეორე შესწორებული გამოცემის მე-14 გვერდზე ზანდუკელს მოჰყავს გარეწარ ნ. ბუხარინის ციტატა, რომელიც ამოღებულია წიგნიდან „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მანამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე ზანდუკელი თავის წიგნს დასწერდა, წიგნი „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“ მარქსისტული კრიტიკის მიერ აღიარებული იყო ანტიმარქსისტულ სახელმძღვანელოდ. მაგრამ თუ პროფ. ზანდუკელმა ამის მიუხედავად თავისთავს ნება მისცა ბუხარინის აზრები გაევრცელებინა და ამჟამადაც არა გრძნობს რაიმე უხერხულობას ამის გამო,[2]) — ეს ჩვენ არ მიგვაჩნია შემთხვევით ფაქტად, რადგან პროფესორი ზანდუკელი თავის კვლევა-ძიებაში დგას არა მარქსისტულ, არამედ მარქსიზმისათვის უცხო პოზიციებზე.

წიგნის შესავალი ნაწილის დასაწყისშივე ჩვენი ავტორი, ვიდრე იმას გამოარკვევდეს, თუ „როგორია ბუნება და ხასიათი მარქსისტული მეთოდისა ლიტერატურათმცოდნეობაში“,—წინასწარვე ასეთ აზრებს სთავაზობს თავის მკითხველს:

„ჩვენი საუკუნის დამახასიათებელი მისწრაფებაა ყოველი მოვლენა და მეცნიერების ყოველი დარგის ეტაპარიტებანი ისეთი მეთოდით იყოს შესწავლილი, რომ მათი ჭეშმარიტება ყველასათვის თვალსაჩინოდ დამამტკიცებელი, გასაგები, დამარწმუნებელი და მისაღები შეიქმნას“. (ტ. I, გვ. 7).

ასეთ მეთოდად ცოტა ქვემოთ ავტორი გვისახელებს ისტორიულ მატერიალიზმს, მარქსიზმს. იგი სწერს:

„თუ გვინდა ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე დასმული საკითხები კანონიერად და სწორად გადაწყვეტოთ, ლიტერატურის კვლევა-ძიება სოციოლოგიას უნდა დავაფუძნოთ... ამ ბოლო ხანებში ლიტერატურისა და მისი თეორიული საკითხების საუკეთესო მკვლევართა უმრავლესობისათვის ახლა ცხადია (ციკავთ ავტორის სტილს—პ. რ.), რომ ლიტერატურის ისტორიკოსისათვის საჭიროა საგნის სინთეტიური გაგება და სინთეტიური აგებვა. ამ მიზნისათვის კი აუცილებელია სოციოლოგიის მონისტური სკოლა, რომელიც ფართო ბაზას მისცემს ისტორიულ-ლიტერატურულ მეცნიერებას. ასეთ სკოლად დღეს ამ უმრავლესობის მიერ აღიარებულია ისტორიული (დიალექტიკური) მატერიალიზმი — მარქსიზმი, რომელიც სისწორითა ხსნის ლიტერატურულ მოვლენებს, თანახმად მარქსიზმის კლასიკოსების — კ. მარქსის, ფრ. ენგელსისა და ლენინის შეხედულებათა“ (ტ. I, გვ. 9).

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ამგვარ ადა-უბდას მარქსიზმ-ლენინიზმთან?

ამ ციტატების ავტორის მიხედვით გამოდის, რომ მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა, ამ პარტიის თეორიული საფუძვლები—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — არაფერს ახალს არ შეიცავენ და მოწოდებულნი არიან მხოლოდ პოპულარიზაცია უყონ, ანუ „ყველასათვის თვალსაჩინოდ დამამტკიცებელი, გასაგები, დამარწმუნებელი და მისაღები“ გახადონ ის ჭეშმარიტებანი, რომლებიც მეცნიერების ყველა დარგის მიერ უკვე დიდიხანია დამტკიცებულნი არიან.

შემდეგ გამოდის, რომ მარქსიზმი, რომელმაც მუშათა კლასს მისცა მსოფლიოს გარდამქმნელი თეორია, სოციოლოგიის ერთი უბრალო მონისტური სკოლაა, რომელიც გამოსადეგია ლიტერატურის რომელიღაც ისტორიკოსებისათვის იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მათ „საგნის სინთეტურ გაგებასა და სინთეტურ აგებვაში“ (?!).

გარდა ამისა, ამ ციტატებიდან აშკარაა ის გარემოებაც, რომ ჩვენი ავტორი ისტორიულ მატერიალიზმს სავსებით აიგივებს სოციოლოგიასთან. იგი მათ შორის არავითარ განსხვავებას არ ხედავს. ამას მოწმობს არა მარტო ზემოთ ციტირებული ადგილები, არამედ მთელს წიგნში მრავლად გაბნეული მსგავსი მსჯელობანი. ამასთან დაკავშირებით იძულებული ვართ კვლავ გავიხსენოთ წიგნი „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“, სადაც ისტორიულ მატერიალიზმს მისი ავტორი ჩვეულებრივად „სოციოლოგიას“ ან „ეკონომიურ მატერიალიზმს“ უწოდებდა. ცხადია, ამას იგი აკეთებდა არა შემთხვევით, არამედ გარკვეული მიზნით: იმისათვის, რომ გამოეცალა ისტორიული მატერიალიზმისათვის კონკრეტული, რევოლუციური შინაარსი და გადაექცია იგი ოგ. კონტის ბურჟუაზიული სოციოლოგიის მსგავს „წესრიგისა (იგივე „წონასწორობისა“) და პროგრესის მეცნიერებად“.

სამწუხაროდ, იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ავტორსაც, ნებსით თუ უნებლიეთ, დაახლოებით ასეთივე შედეგი გამოუდის.

გამომდინარეობს რა მარქსიზმის შემცდარი გაგებიდან, ავტორი იძლევა კლასთა ბრძოლის საკითხების არასწორ, მექანისტურ გადმოცემას. კლასებს იგი იხილავს არა კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, არამედ საერთოდ, დროისა და სივრცის გარეშე, მსგავსად ბურჟუაზიული სოციოლოგიისა. კლასის განვითარების ის მიერ მოცემული სქემები და დახასიათებები შეეხება ყოველი ფორმაციის უკლებლივ ყველა კლასებს.

გარდა ამისა, არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორი სრულიად უპასუხისმგებლოდ ეპყრობა დებულებების სწორად და ზუსტად ჩამოყალიბებას, ტერმინების სისწორით გამოთქმას და სხვ. (დამახასიათებელია, მაგალითად, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას იგი თითქმის არსად არ უწოდებს თავის სახელს, არამედ იხსენიებს მხოლოდ როგორც „თანამედროვე რევოლუციას“ (ტ. I, გვ. 9, 24, 27 და ა. შ.). იქნებ ზანდუკელი არ სცნობს ოქტომბრის რევოლუციის სოციალისტურ ხასიათს?).

XIX საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების განხილვისას ავტორი, რომელიც მარქსისტობის პრეტენზიას აცხადებს, მარქსის ისტორიული მატერიალიზმის სრულ გაუგებლობას ამჟღავნებს. ამასთან იგი ერთის მხრივ არასწორად, ყალბად გადმოგვცემს XIX საუკუნეში საქართველოში კლასთა ბრძოლის ფაქტიურ ისტორიას, ხოლო მეორე მხრივ იძლევა ამ ისტორიის შემცდარ, ანტიმარქსისტულ ანალიზს.

მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი:

საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს ავტორი უცქერის როგორც მხოლოდ უარყოფით მოვლენას. იგი ფიქრობს, რომ „...ქართველებს... შესაძლებლობა ჰქონდათ თავისი მდგომარეობა რუსეთის გარეშე უფრო უკეთესად მოეწყოთ“... (ტ. I, გვ. 67).

ცხადია, ეს აზრი ძირფესვიანად შემცდარია. ჩვენს „მარქსისტ“ მკვლევარს ავიწყდება, რომ რუსეთთან შეერთება საქართველოსათვის მაშინდელ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, როცა საქართველოს მოელოდა რეალური საფრთხე შაჰის სპარსეთისა და სულთანის ოსმალეთის მხრით სრული განადგურებისა, — ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო მდგომარეობიდან და ამდენად ამ ფაქტს, მიუხედავად მეფის რუსეთის ყველა უარყოფითი მხარეებისა, პროგრესიული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

შემდეგ. საქართველოს თითქმის მთელი XIX საუკუნის ისტორიას მიხ. ზანდუკელი სრულიად უსაბუთოდ, მექანიკურად 2 ნაწილად ჰყოფს: 1801 წლიდან 1845 და შემდეგ 1890 წლამდე. პირველ პერიოდს ავტორი შემდეგი სიტყვებ

იტალია-საბერძნეთის ომი

ოსრიდი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). როგორც იუწყებიან, დღეს ფრონტი გადის ახალი ვარსკვლავისა და პლოჩის მთებს შორის, 7-10 კილომეტრზე ქალაქ პოგრადეცადან. დილით საბერძნეთის და ინგლისის ყუმბარმშენებმა მრავალი ყუმბარა დააყარეს პლოჩის მთას.

იტალიელები, რომელთაც საკმაო მაშველი ძალები მოუვიდათ, წინანდელზე უფრო საგრძნობ წინააღმდეგობას უწევენ საბერძნეთის ჯარის შეტევას. როგორც სჩანს, საბერძნეთის სარდლობამ გადასწყვიტა შეტევა აწარმოოს არა პირდაპირ პოგრადეცზე, რომელიც მდებარეობს დაბლობში, ოხრიდის ტბის სანაპიროს მახლობლად, არამედ მთებით, რომლებიც გარს ერტყმიან ქალაქს. ბერძნები მიიწევენ, კერძოდ, მოკრის მთისაკენ, რომელიც ამ რაიონს დასცქერის.

პლოჩის მთის ხელში ჩაგდების შემდეგ ბერძნებს გზა გაეხსნებათ მოკრის მთისაკენ, ხოლო ქალაქ პოგრადეცით—ჩაბასანისა და ელბასანისაკენ. გუშინ ინგლისის ავიაციის შენაერთებმა ჩაბასანის რაიონში ყუმბარები დაუშინეს იტალიის ჯარის კოლონებს, რომლებიც ფრონტზე მიდიოდნენ.

ბელგრადი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). როგორც გაზეთი „პოლიტიკა“ გადმოგვცემს, ჩრდილოეთის ფრონტზე ბერძნები მდინარე ჩეროვის მარცხენა ნაპირზე იმყოფებიან. საბერძნეთის არტილერიის ძლიერი ცეცხლი ხელს უშლის იტალიელებს გადალახონ მდინარე.

26 ნოემბერს ღამით ამ უბანში ორივე მხარის არტილერია ინტენსიურად მოქმედებდა. ღამით იტალიელებმა სკადეს პონტონის ნიდების აგება და საბერძნეთის ნაპირზე გადასვლა. მაგრამ მტრის ქვემეხების სროლამ ხელი შეუშალა მათ ამ გეგმის განხორციელებაში.

იტალიელებს განუწყვეტლივ გადაჰყავთ ჯარი მდინარე ჩეროვისაკენ, ხოლო ქალაქ პოგრადეცს წინ თავს უყრიან თავიანთ მოტორიზებულ ნაწილებს.

ბერძნებიც გაძლიერებით ემზადებიან იტალიის ჯარის მოსალოდნელი კონტრშეტევისათვის. მათ მოაქვთ ფრონტზე დიდძალი ჯარი და საომარი მასალა.

27 ნოემბერს ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა პოგრადეცს და იტალიის პოზიციებს მოსკოპოლეს მახლობლად; თვითმფრინავებმა მრავალი ციცხლგამჩენი ყუმბარა ჩამოჰყარეს.

ლონდონი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, პოგრადეცის სექტორში ბერძნებმა სოფელი ჩეროვი დაიკავეს, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, და მოსკოპოლეს ჩრდილოეთით წასწიეს თავიანთი პოზიციები.

ბერძნებმა არგიროკასტრონი დაიკავეს

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის ჯარმა ქალაქ არგიროკასტრონის ქუჩებში ხელჩართული ბრძოლის შემდეგ დაიკავა ეს ქალაქი, როგორც იუწყებიან, არგიროკასტრონისათვის ბრძოლაში ბერძნებს მოუკლეს 150 კაცი და დაუჭრეს 300; იტალიელებს მოუკლეს 300-ზე მეტი და დაუჭრეს 500 კაცი.

მდგომარეობა რუმინეთში

ბუქარესტი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). ყველა გაზეთი ათავსებს მინისტრთა საბჭოს კომუნიკეს ლეგიონერთა ჯგუფის მიერ ილავის სამხედრო სასამართლოში მოთავსებული 64 პოლიტიკური მოღვაწის დახვრეტის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ მთავრობა ჰგმობს ამ აქტს და რომ დამნაშავენი დაისჯებიან.

გაზეთები აქვეყნებენ აგრეთვე პრემიერის მოადგილეს ხორია სიმის ოფიციალურ განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ „მიერიდან იმ პოლიტიკური ხაზის ყოველი დარღვევა, რომელიც დაწესებულია სახელმწიფოს და ლეგიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელის მიერ, დაუნდობლად და განსაკუთრებული კანონების შესაბამისად დაისჯება“.

იუწყებიან, რომ, გარდა იმ პირებისა, რომლებიც 26 ნოემბერს დახვრიტეს ილავის სამხედრო სასამართლოში, გუშინ დახვრეტილ იქნა რუმინეთის კიდევ რამდენიმე ყოფილი სახელმწიფო მოღვაწე. მათ შორის — ყოფილი მინისტრი, ნაციონალური გლეხური პარტიის გენერალური მდივანი მაჯეარუ.

ბუქარესტის ამბების გარშემო

ბუქარესტი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). როგორც ჟურნალისტთა წრეებში ამტკიცებენ, ილავის სასამართლოში მოთავსებული 64 პოლიტიკური მოღვაწის დახვრეტის გარდა, გუშინ ტერორისტული აქტები მოხდა პროვინციაში.

გუშინვე რკინისგვარდიელებმა მოჰკლეს ისტორიის პროფესორი, მეფის ყოფილი მრჩეველი და 1931-1932 წ. პრემიერ-მინისტრი იორგა. იგი დღისით დაჰატიმრეს, ხოლო საღამოთი მისი გვამი გზის გინაპირა თხრილში იპოვეს პლოეშტის მახლობლად.

27 ნოემბერს დღისით ბუქარესტის ერთერთ ქუჩაზე ლეგიონერთა ჯგუფმა ძალით ჩასვა ავტომობილში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა მანიუს უახლოესი თანაშემწე, ნაციონალ-ცარანისტთა პარტიის მდივანი, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი მაჯეარუ. დღეს მისი დასახჩრეული გვამი ტყეში იპოვეს ბუქარესტის მახლობლად.

იუწყებიან, რომ ეიგურტუს, ტატარესკუს, რალის, არეტიოანუსა და ყოფილი მთავრობის მთელი რიგი სხვა წევრების წინააღმდეგ მოსალოდნელი ტერორისტული აქტების შიშით უკანასკნელთ სპეციალური მცველები ჰყავთ მიჩენილი.

ზოგიერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის—მანიუს, დინუ ბრატიანუს და სხვების სახლების წინ დაყენებული არიან სამხედრო მცველები.

ბუქარესტის ქუჩებში დადიან ტანკები, სამხედრო რაზმები და ლეგიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელის, ხორია სიმის ერთგული რკინისგვარდიის რაზმები.

კანადის შრომის მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი (საკ-დესი). როგორც კანადიენ პრესის სააგენტო ოტავიდან იუწყება, კანადის შრომის მინისტრმა მაკლარტმა პარლამენტში განაცხადა, რომ ომიანობის დროის მოთხოვნებთან დაკავშირებით კანადამ უნდა განიხილოს საბუშაო კვირის გადიდების საკითხი.

ჩამოგდებულ იქნა თვითმფრინავი. რომლითაც კიპაი მიფრინავდა

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, თვითმფრინავი, რომლითაც მიფრინავდა კიაპი, ამასწინათ სირიაში საფრანგეთის უმაღლეს კომისრად დანიშნული, ჩამოგდებულ იქნა ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის რაიონში.

ლონდონი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). ინგლისის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ ცნობას იმის შესახებ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც კიაპი მიფრინავდა, ჩამოგდებულ იქნა.

ფინეთის პრეზიდენტის კალიოს გადადგომა

ჰელსინკი, 28 ნოემბერი (საკ-დესი). ფინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „გადადგა რესპუბლიკის პრეზიდენტი კალიო, რომელიც მრავალი თვის განმავლობაში ავადმყოფობდა. მთავრობა დასთანხმდა კალიოს გადადგომაზე.

სეიმს განსახილველად წარედგინება კანონპროექტი, რომლის თანახმად, განსაკუთრებული გარემოების გამო, გაგრძელებული იქნება იმ ამრჩევთა მანდატების ვადა, რომლებმაც 1937 წელს აირჩიეს პრეზიდენტი. ამრჩევნი შეიკრიბებიან ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. რომლის მოღვაწეობის პერიოდი პრეზიდენტ კალიოს რწმენებულობის ვადის გასვლამდე გაგრძელდება“.

შეგაკება გაისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარებს შორის

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი (საკადესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან გადმოგვცემს, ტაილი ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ამჟამად ტაის თვითმფრინავები თავს ესხმიან საფრანგეთის ინდო-ჩინეთის სამხედრო ობიექტებს „როგორც საპასუხო რეპრესია საფრანგეთის თვითმფრინავების თავდასხმისათვის ნაკორნპანომზე“ (ქალაქი ტაილში) ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ, დილით, საფრანგეთის ხუთმა თვითმფრინავმა ტყვიამფრქვეველები დაუშინა ნაკორნპანომის ჯიხურს, რომლის დროსაც ორი კაცი დაიჭრა, ხოლო რამდენადმე უფრო გვიან ამ თვითმფრინავებმა ორი ყუმბარა ჩამოაგდეს, რითაც დაიჭრა სამი ადამიანი და ერთი ქალი.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ ტაის უმაღლესი სარდლობის განცხადებით, ტაის ავიაცია განაგრძობს საჰაერო თავდასხმას საფრანგეთის შტატებსა და თავმოყრილ ჯარზე.

○

ტოკიო, 29 ნოემბერი (საკადესი). დომეი ცუსინის სააგენტო, ეყრდნობა ჰონკონგიდან მიღებულ ცნობას, რადიოთი გადმოგვცემს, რომ ბანგკოკიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ტაის უმაღლესმა სარდლობამ შესახლობას გამოუცხადა: „საფრანგეთის ინდო-ჩინეთს ჩვენზე იერიში მოაქვს“ და ამის გამო ტაი საპასუხო მოქმედებას მიმართავს.



კურორტი ფსირცხა. სურათზე: № 3 საკავშირო საბჭოთა ხედი (ახალი ათონი). ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საკადესის ფოტოქრონიკა)

აარქიტექტორთა შემოქმედებითი შეხვედრა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის ინიციატივით ტარდება მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის უზბეკეთის, თურქმენეთის და სხვა რესპუბლიკათა არქიტექტორების შემოქმედებითი შეხვედრა.

შეხვედრას დაესწრებიან: მოსკოვიდან — აკადემიკოსი კოლი, არქიტექტორები მარკელოვი, შეკარიკოვი, ბილინკინი, ბუროვი, იზაკოსი და პროფ. ლივშიცი, უკრაინიდან — არქიტექტორები გოლოვკო, ზაბოლოტნი, ხოლსტენკო და იურჩენკო, უზბეკეთიდან — არქიტექტორი არხანგელსკი, თურქმენეთიდან — არქიტექტორი ადლი. ლენინგრადიდან მოელან 3 დელეგატს, აზერბაიჯანიდან — 25-ს, სომხეთიდან — 15-ს; საქართველოდან შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს თბილისიდან 35 დელეგატი, აფხაზეთიდან — 3, აჭარიდან — 2, ქუთაისიდან — 1.

პირველი სხდომა შესდგება 2 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრში. შემდეგ სხდომები ჩატარდება ხელოვნების ოსტატთა კლუბში. თემაზე — „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურა“ — წაკითხული იქნება ოთხი მოხსენება — პროფ. ლიფშიცის (მოსკოვი), არქიტექტორის აკადემიკოსის ნ. სეევროვის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. დადაშვილისა და არქიტექტორ ს. საფარიანის მიერ.

შეხვედრის მონაწილეთათვის მოეწყობა ექსკურსიები არქიტექტურული ძეგლების დასათვალიერებლად. 5 დეკემბერს დელეგატები ეწვევიან სტალინის სამშობლოს გორს, ხოლო 7 დეკემბერს დათვალიერებენ მცხეთას, სამთავროს და ჯვარს.

შეხვედრასთან დაკავშირებით ეწყობა ორი დიდი გამოფენა. სამხატვრო გალერეაში გაიხსნება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიული არქიტექტურის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტოები, ვეგმარები და ნატურალური ფრაგმენტები. ხელოვნების ოსტატთა სახლში მოწყობილია საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა არქიტექტორების ნამრომთა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია საბჭოთა არქიტექტორების განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტები.

იშვიათი ხელნაწერი ძეგლი

1867-70 წ. საქართველოში იმოგზაურა არქეოლოგიური სახოგადოების წევრმა ი. ჩუბინმ, რომელმაც სოფელ ლაილაშში (ლეჩხუმი) ნახა იშვიათი ხელნაწერი ძეგლი—ძველ ებრაულ ენაზე დაწერილი ბიბლია. ამ ბიბლიის შესახებ ცნობები მოეპოვება ეთნოგრაფ ს. კასდოის (1909 წელი). ამ ბიბლიის შესახებ 1935-1936 წ. ცნობები შეაგროვა ლაილაშში გაგზავნილმა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპედიციამ. ი. ჩუბინი, ს. კასდოი და ექსპედიციის წევრები ცდილობდნენ როგორმე შეეძინათ ეს იშვიათი ძეგლი და გამოეცათ იგი, მაგრამ ვერ მოახერხეს.

კულტის მსახურნი ბიბლიას სასწაულმოქმედების ძალას აწერდნენ და შეშინებული ებრაელების მოსატყუებლად იყენებდნენ. ისინი ხმას ავრცელებდნენ, რომ ბიბლიას შეუძლიან ავადმყოფები განკურნოს, წვიმა მოიყვანოს და სხვ. ამბობდნენ, რომ ბიბლია სვანეთიდან მდინარემ ისე ჩამოიტანა, რომ არცერთი ფურცელი არ დასველებულა.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა თავისი მეცნიერი მუშაკის, ამხ. ი. ქურჩიშვილის და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით შესძლო ამ ბიბლიის შეძენა.

ბიბლიის შესახებ მონოგრაფიის შედგენა დავალებული აქვს ამხ. ქურჩიშვილს, რომელიც მოსკოვს გაემგზავრება, რათა ბიბლიის ტექსტი და ორნამენტები შეადაროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის მცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერ ძეგლებს.

ხუზეუმში დაცული „ბრეთის ბიბლია“ გადაწერილია სალონიკში 1513 წელს. ლაილაშის ბიბლია კი, მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა დასკვნით, უხნესია ოა XII-XIII საუკუნეს ეკუთვნის.

(საკადესი).

იანკო კუკალას ლექსთა კრებული ქართულ ენაზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეზიადუმის გადაწყვეტილებით ქართულ ენაზე გამოიცემა ბელორუსიის სახალხო პოეტის იანკო კუპალას ლექსთა კრებული. ლექსების თარგმნა და კრებულისათვის მასალის შერჩევა დავალებული აქვს პოეტ მიქელ პატარიძეს.

ფეხბურთი

ხვალ, 1 დეკემბერს ლ. ბერიის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგება ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ითამაშებენ ლატვიის „დინამოსა“ და თბილისის „სპარტაკის“ გუნდები.

თამაში დაიწყება დღის 3 საათზე.

გუცულთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

კარპატის მთებში, დასავლეთ უკრაინის სამხრეთ რაიონებში ცხოვრობენ გუცულები. წარმოშობით ისინი უკრაინელები არიან, მაგრამ ცხოვრების თავისებური პირობების გამო რამდენიმე განსხვავდებიან უკრაინელებისაგან.

გუცულები ძირითადად მისდევენ მეცხოველეობას, ამზადებენ ხე-ტყის მასალას, სახელგანთქმული არიან ხეზე მხატვრული ამოჭრითა და ხალიჩების ქსოვით.

დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებამდე გუცულები ძმიმე პირობებში ცხოვრობდნენ. ავსტრიელი მემამულეები და პოლონელი პანები ყოველნაირად ჩაგრავდნენ ამ თავისუფლებისმოყვარულ ხალხს, გასაჭანს არ აძლევდნენ მის შემოქმედებითს ძალებს.

მხოლოდ დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლების შემდეგ ამოისუნთქეს თავისუფლად გუცულებმა, გაისმა მათი სიმღერები. ექვსი თვის წინათ ჩამოყალიბდა გუცულთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომპოზიტორი ბარნიჩი და ბალეტმეისტერი ჩუპერჩუკი. სამი თვის მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ ანსამბლი გაემგზავრა მოსკოვს, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, შემდეგ კონცერტები გამართა კიევში, ხარკოვში, დონბასში, ჩრდილო-კავკასიასა და ყირიმში. ანსამბლის კონცერტები ყველგან დიდი წარმატებით სარგებლობდა.

გუცულთა სიმღერები თავისი შინაარსითა და მელოდიურობით ძალიან ჰგავს უკრაინულს. მათ ახასიათებს უშუალობა, ენის სიმარტივე და ამბისა და გამოთქმების პოეტურობა. გუცულთა ცეკვებს ახასიათებს მხიარულება.

აი ეს სიმღერები და ცეკვები ჩამოვიტანეთ თბილისში, რომ გავაცნოთ ისინი ირგვლივ მცხოვრებლებს, დღეგაქანის მშრომელებს, პროგრამას ვიწყებთ გუცულთა სიმღერათა სტალინზე. ბოცა სტალინორმა მზემ ანარეკლი ეფინოს ამ ნაბანდ, გუცულებმა შეაქებინეს სიმღერა სა. ყველაზე ბელადზე. ხალხი ბოტბას ასხამს სტალინს, ბედნიერსა და ბედიერ ცხოვრებას, ბედნიერ ბედ-ბედ ბელადს—

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს
მის შვებას და ხალისს,
დღეგრძელობა ჩვენს საყვარელს
და შშობლიურ სტალინს!

შემდეგ ჩვენ შეგასრულებთ ხალხურ სიმღერას, ლირიკულს, ნახს, გულთბილს, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის ლამაზ ბუნებას. პროგრამაში გვაქვს მრავალი სხვა სიმღერა, როგორც საკუთრივ გუცულებისა, ისე დასავლეთ უკრაინის სხვა ოლქებისა, მრავალგვარი ხალხური ცეკვები (არკანი, ჩაბანი, კოლობიიკა, ტრემბიტა და სხვ.).

ჩვენი პროგრამის ფინალია დიდი მონტაჟი, რომელიც გამოხატავს გუცულურ „ფოლიკას“. ეს მონტაჟი გამოხატავს ჟუცულთა სახალხო სეირნობას. ასეთი მასობრივი სეირნობა, საყოველთაო სახალხო მხიარულება განთავისუფლებამდე წარმოუდგენელი იყო. მხოლოდ აწლა შეხვდებით გუცულთა სოფლებში ამ მხიარულ დღესასწაულს.

ასეთია გუცულთა ანსამბლი, რომელიც დიდი კმაყოფილებით გამართავს თბილისში რამდენიმე კონცერტს.

ა. ბაბადი

○

გუცულთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლები ჩატარდება საქალაქო სახალხო სეირნობის. ასეთი მასობრივი სეირნობა, საყოველთაო სახალხო მხიარულება განთავისუფლებამდე წარმოუდგენელი იყო. მხოლოდ აწლა შეხვდებით გუცულთა სოფლებში ამ მხიარულ დღესასწაულს.

ასეთია გუცულთა ანსამბლი, რომელიც დიდი კმაყოფილებით გამართავს თბილისში რამდენიმე კონცერტს.

ა. ბაბადი

ვოდევილების ანსამბლი

საქესტრადასთან არსებობს ვოდევილების პატარა ანსამბლი ვ. მატარაძის ხელმძღვანელობით. ეს ანსამბლი თავისი რეცხვობიური შემადგენლობით მართლაც პატარაა. იგი შედგება 4 მსახიობისა—ვ. მატარაძის, ნ. ადეიშვილის, მ. ლახუტაშვილის და რ. ფშნელისაგან. რეპერტუარიც სათანადოდ არის შერჩეული, დადგმების გაფორმება პორტატიულია. ეს საშუალებას აძლევს ანსამბლს გამართოს წარმოდგენები ისეთ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც სათანადოთ მოწყობილი სცენაც კი არ მოიპოვება.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ანსამბლი მუშაობდა დასავლეთ საქართველოში. დასმა შემოიარა წულუკიძის, მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ხუგდიდის და წალენჯიხის რაიონები. სპექტაკლები, როგორც წესი, იმართებოდა საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში. ანსამბლი ეწვია ისეთ შორეულ კუთხეებს, სადაც ჩვეულებრივ ჩვენი მოძრავი თეატრები არ მიდიან. ორი თვის განმავლობაში დასმა გამართა 43 წარმოდგენა. ანსამბლის სპექტაკლებმა მაყურებლების კარგი შეფასება მიიღეს.

ამ დღეებში ანსამბლი მიემგზავრება აფხაზეთისა და აჭარის სოფლებში, სადაც ორ თვეს დაჰყოფს.

ლექციები და მოხსენებები

30 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ., № 3) ეთნოგრაფიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მოგ. აღმ. **ლ. ბოჭორიშვილი** წაიკითხავს მოხსენებას: **„იმერული კერამიკა“.**

დღის 2 საათზე, კაბალასიერ ენათა განყოფილებაში: 1. პროფ. **ვ. თოფურია** წაიკითხავს მოხსენებას **„ლაკური ენის დიალექტები“;** 2. უფრ. მეცთანამშრ. **ვ. ფანჩვიძე** — **„გრამატიკული კლასები ბუდუხური ენაში“;**

დღის 2 საათზე, ისტორიის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ა. იოსელიანი** წაიკითხავს მოხსენებას **„იესე ოსესძეს „ანდერძის“ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა ტექსტის აღდგენისათვის“.**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

30 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, „კომუნისტის“ კომპინატის კლუბში (ლენინის ქ., № 28) მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მორიგი V პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონში საგზაგაცეო მუშაობის მდგომარეობის შესახებ.
2. ანგარიში რაიონულ პარტორგანიზაციაში პარტიაში მიღების ხუთნი რეტარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი
პ. მეჯლიძე

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3725969, გაცემული ივანე ვლადიმერის-ძე **ბაქრაძის** და პარტბილეთი № 1537513, გაცემული აკაკი ლევანის-ძე **შელიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **მუსკომედია**—„ხაჯარათი“, **სანკულტურის ქართული თეატრი** — „ბრმა მუსიკოსი“, **გრიბოედოვის სახელობის** — „ოდენარცევალი“, **სომხური დრამა**—„კინტო“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.**—„ქალი ბიდობნიდან“, **ოქტომბერი** — „ქალი ბიდობნიდან“, **დამკვრელი** — „ქალი ბიდობნიდან“, **დღისით** — „ექიმი ბიბოლიტი“, **კომკავშირელი** — „მუსიკალური ისტორია“. **სპარტაკი** — „ქალი ბიდობნიდან“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მუსიკალური ისტორია“, **26 კომ. სახ.**—„ქალი ბიდობნიდან“, **კომინტერნი** — „მაქსიმ მაქსიმიჩი“, **განთიადი** — „ქალი ბიდობნიდან“, **წითელი არმიის სახლი** —„დიდი მოქალაქე“ (მეორე სერია), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „დიდი ვალესი“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ეშმაკივთ პატარძალი“, **ახალი ამბები**— „წუალტუბო“, **საწკვების კავშირის კლუბი**—„დაკარგული სამოთხე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ბიძაშვილები ნიკო, გრიშა კერვალიშვილები ცოლშვილით, ცოლისძმები დიანოზ, პავლე, კოსტა ციხისელები ცოლშვილით იუწყებიან

მალაქია კერვალიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XI 6 ს. 9090

დები ციცო, ოლდა, ტატიანა თოფურიძეები, სიძეები ი. რუხაია, ი. გაბელაია, კ. ჯალაღანია ოჯახებით იუწყებიან

პროკოფი (გვაძი) ივანეს-ძე თოფურიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/XI 7 ს. ბათუმის, 3. გამოსვენება 1/XII 3 ს. კუკის სასაფლაოზე. 9097

სამედიცინო გამომცემლობის თანამშრომლები კ. ადეიშვილი, დ. ჯიბუტი, ა. ლომთათიძე, ი. ზაკი, ნ. ბაკრაძე, შ. გელოვანი, ლ. კრასნერი, ი. ანტიკ და ე. გრიგოლია იუწყებიან თანამშრომლის

პროკოფი ივანეს-ძე თოფურიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/XII.

კვანტრიშვილი, ჩახნაშვილი, ესეტუა, მეკვანაძე, ჭავჭავნიძე, აბაშიძე, ენუქიძე, ნემსიფერიძე, გოგიტიძე, ბიძონია, ხიხანიშვილი, ფიფიაშვილი, ბილიმოძე იუწყებიან, რომ 1/XII 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია

ვანო სპირიდონის-ძე აბაშიძის

პანაშვიდი. 9093

ბიძები ვანო, შალიკო ღვინიაშვილები ოჯახებით, ბაბუა სონა ღვინიაშვილისა, ბიძა ვასო კობაიძე იუწყებიან პატარა

ციალა ალექსანდრეს-ასულ კობაიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 1/XII 4 ს. პეტრეშვილის, 1, ვაკის სასაფლაოზე. 9096

ცოლი მარო, ქალიშვილი ნინო შვილებით იუწყებიან

ძსენოფონტე, ზოსიმეს-ძე მიქაუტაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 8 ს., მეორე ირიბის, 22. დაკრძალვა 1/XII 1 საათზე.

ბიცოლა ოლღა, ბიძაშვილები ჯვები, მიტუშა ოჯახებით, კარლო, ალხანაგები ვაჩავა, ჯიქია იუწყებიან

პროკოფი (გვაძი) ივანეს-ძე თოფურიძის

გარდაცვალებას. 9106

ცოლი ვალენტინა, შვილები თამარ, ეიეინო, ნოდარ იუწყებიან

მალაქია კერვალიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 30/XI 6 ს. ურიცკის. 18. 9088

ვასო სანაძე იუწყება, რომ 1/XII 12 ს. პეტრეშვილს სასაფლაოზე დანიშნულია დის

მარო სანაძე-ბუაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 9095

მეუღლე ნიკოლოზ მარტაშვილი, შვილები ნინო, სერაფიმა, თამარ, ფატი, დარეჯან, რძალი კესარია იუწყებიან, რომ 1/XII 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

ვარო ივანეს-ასულ მარტაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 9101

საქვაბრობის სასაწყობო მეურნეობის და პერიფერიების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე მეურნეობის დირექტორ ლადო მაჭავარიანის აღმოხრდელი ბიძის

იოსებ სიმონის-ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. 9094

შვილი ბაჯია, და ლუბა, სიძე ბუკულა მიქელაძე შვილებით იუწყებიან, რომ 1/XII 1 ს. კულაშის სასაფლაოზე დანიშნულია

კატო მერაბის-ასულ მიქელაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 9100

მეუღლე ლიდა, შვილები ნადია, მარგარიტა, სოლომონ, ბრილიანტინა, ტატიანა, ბაბილინა, რძალი მარგო, სიძეები ს. სოფრომაძე, ა. მირონაძე, ჯ. ერისთავი, ბ. ნებიერიძე, შვილიშვილები იუწყებიან

პეტრე ვარდენის-ძე ქოჩიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/XII ს. საქარაში. 9098

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სამსაწყვეტლო ინსტიტუტის ფიზიკისა და მათემატიკის კათედრების წევრები თანაუგრძნობენ დოცენტ სიმონ შარაძენიძეს სიმამრის

ილარიონ გრიგოლის-ძე ჯანელიძის

გარდაცვალების გამო. 9080

მეუღლე ირინე, შვილი გოგი და იულია იუწყებიან, რომ კვირას, 1/XII 1½ ს., ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

ბიძინა გიორგის-ძე გელოვანის

სამოქალაქო პანაშვიდი. 9086

დეიდა ქეთო, ბიძა კოტე გოგუები, ბებია მატრონე, ბიძეები მარკიანე, ვალიკო ქურიძეები ოჯახებით იუწყებიან

თამარ სამუელის-ასულ თევზაძის

გარდაცვალებას. 9102

შვილი თამუშა ქმრით ტერენტი გორელიანიშვილი იუწყება მამის

ნესტორ გიოს-ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/XI 7 ს. გამოსვენება 1/XII 2 ს. კობის, 21, ვაკის სასაფლაოზე. 9092

შვილები ირაკლი, სოლომონ, გიორგი, რძლები ირინე, მარიამ, შვილიშვილები ლია, ია, ინნა და ელენე ტისენკო იუწყებიან რომ 1/XII 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ტიმოთე ალექსანდრეს-ძე მენთეშაშვილის

პანაშვიდი. 9087

ვულგარული სოციოლოგიზმი მარქსიზმის ნიღაბით

(დასასრული)

ერთგვარ სქემას, რომლის მიხედვითაც მექანიკურად ანაწილებს მწერლებს. მისი აზრით:

„...ევროპაწოდებული „თერგდალეული“ მწერლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი... დარწმუნდნენ კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობაში და თავის გადარჩენის მიზნით მოინდომეს მასთან შეზრდა. ეს მწერლები თავიანთი შემოქმედებაში ამეალვენებენ ლიბერალურ - თავადაზნაურულ ფსიქოლოგიას და გამოხატავენ კაპიტალიზმის განვითარების „პრუსიული გზით“ (ტ. I, გვ. 95).

შემდეგ:

„60-იანი წლების დასაწყისიდანვე ქართულ ლიტერატურაში, როგორც გარკვეული მიმართულება, ვითარდება ახალი ნაკადი, ესაა მეორე მოქმედი სოციალური ფენის, — წვრილბურჟუაზიულის — კაპიტალიზმის **ამერიკული გზით** განვითარების გამომხატველი რეალისტური მიმართულება. ამ მიმართულებას ქართულ ლიტერატურაში იწყებს დან. ჭონქაძე და 70-იან წლებიდან აგრძელებენ ხალხოსანი მწერლები“.

ამ თვალსაზრისით იხილავს ზანდუკელი ამ მწერლების შემოქმედებას.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ძნელი არ არის მიხვდეს, თუ რაოდენ მცდარია ასეთი მოსაზრებანი. ასეთი მსჯელობა, ჩვენის აზრით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ჯერ ერთი, ზანდუკელის მიხედვით გამოდის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ დანიელ ჭონქაძის დროიდან ჰქონია ადგილი კაპიტალიზმის განვითარებას როგორც პრუსიული, ისე ამერიკული გზით (ერთსა და იმავე დროს!) და ეს განვითარება ამ დროისათვის ისე შორს წასულა, რომ მას ლიტერატურაში უდიდესი მწერლები (ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. ჭონქაძე და სხვ.) ჰყოლია წარმომადგენლებად. ეს, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტი გულუბრყვილობაა. სინამდვილეში კი აქ საქმე ისაა, რომ ჩვენი მკვლევარი, რჩება რა თავისი ვულგარულ-სოციოლოგიური, მექანიკურ - მატერიალისტური მეთოდის ერთგული, იძულებულია მწერლები მოამწყვდიოს წინასწ